186
1989/2

2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1989 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი — დეკემბერი 1989 წ.

19286

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

106. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

107. საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის წესდების რეგისტრირების შესახებ.

108. საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

109. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 ნოემბრის № 530 დადგენილების მოქმედების ვადის გადატანის შესახებ.

110. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსაშენმასალების“ სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. ს. ქუთათელაძის სახელის მინიჭების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

111. თბილისის „ერთი მსახიობის“ სახელმწიფო თეატრისათვის ვ. ი. ანჯაფარიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.

112. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 31 აგვისტოს № 708 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

113. საქართველოს მშენებელთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

114. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.

115. სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთას“ წესდების რეგისტრაციის შასახებ.

116. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

117. იუნესკოს საქართველოს საბჭოსთან უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის შექმნის შესახებ.

118. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 817 დადგენილების შესახებ.

119. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების წესის სრულყოფის შესახებ.

120. ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

121. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

122. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების წესდების რეგისტრირების შესახებ.

123. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

124. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 მაისის № 199 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

125. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

126. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

127. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

128. საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ.

129. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტის“ აღნიშნული კინოსტუდიის სადებიუტო, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ექსპერიმენტულ სტუდია-ფილიალად გარდაქმნის შესახებ.

130. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 18 სექტემბრის № 478 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

131. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

106 **საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულებანი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს შეიმუშაოს და დაამტკიცოს საინსტრუქციო წერილები საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად ნამუშევრების წარდგენისა და გაფორმების წესის შესახებ.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისათვის 40 ათასი მანეთი საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა პრემირებისათვის, აგრეთვე საჭირო სახსრები საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრების განხილვის პროცესში მიწვეულ რეცენზენტთა, ექსპერტთა და დამხმარე პერსონალისათვის შრომის ანაზღაურებლად.

4. 1990 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადრე მიღებული დადგენილებანი: 1977 წლის 11 იანვრის № 52, 1979 წლის 10 ივლისის № 512, 1981 წლის 28 დეკემბრის № 894, 1985 წლის 15 იანვრის № 36-1 და 1989 წლის 31 იანვრის № 73.

5. ეს დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 1 მარტიდან.

6. ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულებები გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. გუმბარიძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

ქ. თბილისი, 1989 წ. 7 დეკემბერი, № 651

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 7 დეკემბრის № 651 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიები, შემდგომ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიად წოდებული, მიენიჭებათ ცალკეულ პირებსა და კოლექტივებს:

სამეცნიერო გამოკვლევებისათვის, რომლებსაც უდიდესი წვლილი შეაქვთ ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების განვითარების საქმეში, აჩქარებენ რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას და ქართული მეცნიერება და ტექნიკა გაყავთ საკავშირო მიღწევათა დონეზე;

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებისას მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგებისათვის;

ახალი სახეობის ტექნიკის, მასალებისა და ტექნოლოგიის შექმნისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის, რომლებიც თავიანთი მაჩვენებლებით უტოლდებიან საკავშირო და მსოფლიოს საუკეთესო ანალოგებს და უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ტემპების ზრდასა და ეფექტიანობას, აგრეთვე რესურსების დამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნისა და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის;

სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული უდიდესი წარმატებებისათვის;

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის მშობლიურ ენაზე დაწერილი საუკეთესო სახელმძღვანელოებისათვის და დამხმარე სახელმძღვანელოებისათვის, რომლებმაც საზოგადოების აღიარება მოიპოვეს;

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს — მუშებს, კოლმეურნეებს, საინჟინრო-ტექნიკური დარგის მუშაკებს და სპეციალისტებს უდიდესი შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური წარმატებებისათვის.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები უნდა გამოქვეყნდეს არანაკლებ ერთი წლით ადრე, ხოლო ახალი სახეობის ტექნიკა, მასალები და ტექნოლოგია ათვისებულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობაში პრემიის მისანიჭებლად წარდგენამდე.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მიენიჭებათ ყოველწლიურად შემდეგი ოდენობით: 2 პრემია — მეცნიერების დარგში, 2 პრემია —

ტექნიკის დარგში, 2 პრემია — სახელმძღვანელოებისათვის, რომელთაგან 1 უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის და 1 — საშუალო სასწავლებლებისათვის, 1 პრემია — თავდაცვის ხასიათის დახურული ნაშრომისათვის (პრესაში არ ქვეყნდება), 1 პრემია — სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, აგრეთვე სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო შრომითი წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობაში. თითოეული პრემიის ოდენობა 5 ათასი მანეთია.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად ნამუშევრებს წარადგენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების პრეზიდიუმები, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიები, გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოები, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების კრებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მასალებს სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების შესახებ პრემიის მისანიჭებლად წარადგენს საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო შესაბამის სამინისტროსა და უწყებასთან ერთად.

ნაშრომებს, რომლებიც ეხება სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას, პრემიის მისანიჭებლად წარადგენენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სამმართველოსთან შეთანხმებით.

უმაღლესი, საშუალო სპეციალური, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ.

პრემიის მისანიჭებლად ნამუშევართა წარდგენა და კანდიდატების შერჩევა უნდა მიმდინარეობდეს თითოეული კანდიდატის ნამუშევრისა და შემოქმედებითი წვლილის შეფასების მიმართ მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით და საჯაროობის უზრუნველყოფით.

დაუშვებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად ნაშრომის წარდგენა, თუ მას მიღებული აქვს (ან წარდგენილია მოსაპოვებლად) ლენინური პრემია, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელობის პრემიები.

5. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ნამუშევრებისა და სახელმძღვანელოებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილი კოლექტივის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 6 კაცს, ხოლო თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კოლექტივისა — 10 კაცს.

დაუშვებელია მაძიებელთა კოლექტივის შემადგენლობაში პირთა შეყვანა:

— მხოლოდ ადმინისტრაციული, ორგანიზაციული და კონსულტაციური ნიშნით;

— თუ ამ ნაშრომისათვის უკვე მიღებული აქვთ სახელმწიფო ჯილდოები;

— თუ სხვა ნაშრომისათვის წარდგენილი არიან ლენინური პრემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის მოსაპოვებლად;

— თუ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ახალ წარმატებებს მიაღწია, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია შეიძლება მიენიჭოს განმეორებით, მაგრამ წინა პრემიის მინიჭებიდან არაუადრეს 5 წლისა.

6. კოლექტივის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ ის პირები, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოს სს რესპუბლიკაში ან არ არიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, მაგრამ სამუშაო შეასრულეს საქართველოს სსრ ორგანიზაციებთან ერთად, მიღებული გეგმების და პროგრამების მიხედვით და პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი არიან ამავე ორგანიზაციების მიერ ამ დებულების მე-4 პუნქტის თანახმად.

შენიშვნა:

პრესაში არ ქვეყნდება

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად უცხოელი მოქალაქის წარდგენის საკითხი უნდა გადაწყდეს ამ მოქალაქის ქვეყანაში საბჭოთა კავშირის საელჩოსთან შეთანხმებით, რომელიც მყარდება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ნაშრომებს განიხილავს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, რომელთანაც ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების და ტექნიკის სამი მუდმივმოქმედი სექცია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ნაშრომებს მიიღებს ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე, ხოლო მასალებს სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების და სახალხო მოხმარების საქონლის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული წარმატებების შესახებ — პრემიის მინიჭების წლის 25 იანვრამდე.

ნამუშევართა წარდგენა და საბუთების გაფორმება ხდება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საინსტრუქციო წერილის მიხედვით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ყველა წარდგენილ ნამუშევარს და დაუგზავნის მათ განსახილველად თავის სექციებს.

სექციების მიერ ამ ნამუშევრების შესწავლის მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი 10 ნოემბრამდე ხმათა უმეტესობით მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრის საკონკურსოდ დაშვების შესახებ.

შენიშვნა:

ნამუშევრები, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტმ საკონკურსოდ არ დაუშვა, არ შეიძლება წარდგენილ იქნეს განმეორებით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად, თუ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილებით დათქმული არ არის სხვა პირობა.

პრესაში არ ქვეყნდება

თავდაცვითი ხასიათის ნაშრომებისათვის კენჭისყრა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ დებულების მე-6 პუნქტის თანახმად, ხდება კომიტეტის არაუმეტეს 15 წევრისაგან შემდგარ პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე.

9. საკონკურსოდ დაშვებული ნაშრომების, მათი ავტორებისა და წარდგენილი ორგანიზაციების სიები, მათი ფართო საზოგადოებრივი განხილვის მიზნით, საქინფორმის საშუალებით ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად საკონკურსოდ წარდგენილი ნაშრომები ფართოდ და ყოველმხრივ უნდა იქნეს განხილული პრესაში, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების სხდომებზე, შრომითი კოლექტივების კრებებზე. განხილვას უნდა მიეცეს დისკუსიის ხასიათი, ნათლად უნდა გამოვლინდეს საზოგადოებრიობის აზრი და შეფასებანი.

განხილვა უნდა წარმართონ გაზეთების და ჟურნალების რედკოლეგიებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. განხილვის მასალები, შეფასებები, რეცენზიები, შენიშვნები და წინადადებები უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს არა უგვიანეს პრემიების მინიჭების წლის 1 თებერვლისა.

11. გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს პრემიის მინიჭების წლის 15 თებერვლამდე.

12. გადაწყვეტილებას სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთ თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური

საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს ასევე პრემიის მინიჭების წლის 15 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზეიმის დღეს.

შენიშვნა:

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად კონკურსში დაშვებული ნამუშევარი, რომელსაც პრემია არ მიუღია, შეიძლება განმეორებით იქნეს წარდგენილი საერთო წესით, მაგრამ კიდევ მხოლოდ ორჯერ.

13. პირებს, რომლებმაც მიიღეს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები, მიენიჭებათ წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“, კომიტეტის სხდომაზე ან შრომით კოლექტივებში საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ დიპლომი და სამკერდე ნიშანი. კოლექტივისათვის პრემიის მინიჭებისას პრემიის ფულადი ნაწილი თანაბრად ნაწილდება წევრთა შორის.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის გარდაცვლილი ლაურეატის დიპლომი და სამკერდე ნიშანი სამახსოვროდ გადაეცემა მის ოჯახს, ხოლო პრემიის ფულადი ნაწილი მემკვიდრეობით გადაეცემა სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომი-
ტეტისა და საქართველოს სსრ მინისტ-
რთა საბჭოს 1989 წლის 7 დეკემბრის
№ 651 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, შემდგომში „საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტად" წოდებული, იქმნება ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტებისაგან და მის შემადგენლობას სამი წლის ვადით ამტკიცებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შემადგენლობა და ინფორმაცია მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ევალება მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, აგრეთვე, სახელმძღვანელოებისათვის;

ბ) საქართველოს პროფსაბჭოს წარდგენით საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთათვის თვალსაჩინო შრომითი და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამო.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი თავისი მოღვაწეობის მიზნის შესაბამისად:

ა) ცნობილ მეცნიერებს, სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს უგზავნის უწყებებს თხოვნით, აცნობონ კომიტეტს ყველა იმ მნიშვნელოვანი ნაშრომისა და მათი ავტორების შესახებ, რომლებიც იმსახურებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიას. სიას იმ მეცნიერებისა, სპეციალისტებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც ეგზავნებათ უწყებები, ამტკიცებს კომიტეტის პრეზიდიუმი;

ბ) იღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილ ნაშრომებს და აწყობს მათს წინასწარ განხილვას. არჩევს მათგან ყველაზე ღირსეულებს, რომლებიც პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, აქვეყნებს საკონკურსოდ შერჩეული ნაშრომების სიას რესპუბლიკურ ცენტრალურ პრესაში და აწყობს მათს საჯარო განხილვას;

გ) განიხილავს საკონკურსოდ დაშვებულ ნაშრომებს, აანალიზებს მათ გამო მიღებულ წინადადებებს და შენიშვნებს. განხილვის ყველა დონეზე უზრუნველყოფს შემოქმედებითი დისკუსიის, მაღალი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ვითარებაში. ამასთან გულდასმით და ყოველმხრივ ამოწმებს მიღებული შედეგებისა და დასკვნების დამაჯერებლობას, მათს მეცნიერულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაბუთებულობას, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) აფორმებს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა დიპლომებსა და სამკერდე ნიშნებს და საზეიმო ვითარებაში გადასცემს ლაურეატებს;

ე) უხდის ლაურეატებს პრემიის ფულად ნაწილს.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი 11 (9) კაცის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში უდგას თავმჯდომარე. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი შედგება საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ტექნიკის სექციებისაგან, თითოეული არა უმეტეს 21 წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომებს შორის მუშაობს მისი პრეზიდიუმი, რომელსაც ირჩევენ კომიტეტის წევრები ღია კენჭისყრით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სექციები:

ა) წარმოდგენილი ნამუშევრების წინასწარ განსახილველად და რეკომენდაციების მისაღებად შეარჩევენ და დაამტკიცებენ რეცენზენტებს და ქმნიან საექსპერტო კომისიებს ცალკეული დარგების მიხედვით;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომს განხილვისათვის უგზავნიან მეცნიერებათა აკადემიას, სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს და სხვა ორგანიზაციებს. პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომების რეცენზირებისათვის იწვევენ ცნობილ მეცნიერებსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს;

გ) აგზავნიან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრებს, ექსპერტებს ან საექსპერტო კომისიებს სამშენებლო და ტექნიკური ნაგებობის, გამოგონებების, კონსტრუქციების, მასალების, ტექნოლოგიური პროცესების, მათი დანერგვის მდგომარეობის და თითოეული მაძიებლის წვლილის გასაცნობად. კომიტეტის წევრებსა და ექსპერტებს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაწესებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში უნაზღაურდებათ მივლინებების დანახარჯები;

დ) თვალყურს ადევნებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად ნამუშევართა წარდგენისა და მათი საექსპერტო განხილვის წესების დაცვას და უზრუნველყოფენ ამ პროცესის საჯაროობას.

რეცენზენტთა, ექსპერტთა და დამხმარე პერსონალის შრომა ანაზღაურდება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული განაკვეთების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმი წინასწარ შეისწავლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილ ნამუშევრებს, მოამზადებს მთელ მასალას კომიტეტის სექცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებისა და კომიტეტის სხდომების მიერ განსახილველად, შეისწავლის და განაზოგადებს საზოგადოებრივი განხილვის მასალებს, რეცენზიებსა და სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურას წარდგენილ ნამუშევრებზე, განახორციელებს საქმისწარმოებას, აგრეთვე მოაწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის წამყვან მოღვაწეთა გამოსვლებს პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით იმ ნამუშევრების შესახებ, რომლებიც დაშვებული არიან საკონკურსოდ და მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომას იწვევენ წელიწადში არანაკლებ ორჯერ. ის უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრების საკონკურსოდ დაშვების შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ — ფარული კენჭისყრით. კომიტეტის დამსწრე წევრთა სულ ცოტა სამი მეოთხედი ხმის უმრავლესობით.

შენიშვნა:

1. თუ კენჭისყრის პირველი ტურის შედეგად მიღებული არ არის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ, დასაშვებია მოეწყოს კენჭისყრის მეორე და მესამე ტური. მეორე და მესამე ტურში დაიშვებიან ის ნაშრომები, რომლებმაც მოაგროვეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარი და ნახევარზე მეტი. თუ კენჭისყრის სამი ტურის შედეგად ვერც ერთმა ნამუშევარმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ეს ნამუშევრები კონკურსიდან მოიხსნება ე. ი. შესაბამისი პრემია არ მიენიჭება.

პრესაში არ ქვეყნდება

2. სახელმწიფოს თავდაცვის ნაშრომების ფარული კენჭისყრისათვის კომიტეტი ღია კენჭისყრით თავისი წევრებისაგან ირჩევს კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ შემადგენლობას არა უმეტეს 15 კაცისაგან. პრეზიდიუმი, ამავე პუნქტში მოცემული წესის თანახმად, იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ და გააქვს იგი კომიტეტის სხდომაზე ღია კენჭისყრით დასამტკიცებლად.

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ ძალაში შედის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს აქვს ბეჭედი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ფინანსურ საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

107 საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის წესდების რეგისტრირების შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 1 ნოემბერი, № 528

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 1 ნოემბრის № 928
დადგენილებით

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის

წ ე ს დ ე გ ა

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, წარმოადგენს იურიდიულ პირს, გახსნილი აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკში, საბჭოთა და უცხოური ვალუტის სახით, რომელიც ყალიბდება როგორც საქველმოქმედო შემონატანებისაგან, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა გზით.

ფონდს აქვს ემბლემა, მრგვალი ემბლემიანი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

II. ფონდის მიზანი და ამოცანები

ფონდის მიზანი და ამოცანებია:

1. საქართველოს ეროვნული აღორძინების ხელშეწყობის მიზნით და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) შექმნას მისთვის უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწის ფონდი;

ბ) შექმნას საბინაო ფონდი საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან საცხოვრებელი სახლების შესყიდვისა და საცხოვრებელი ბინათმშენებლობის გზით;

გ) დახმარება გაუწიოს დემოგრაფიული თვალსაზრისით მწვავე რეგიონებისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, ხანდაზმულ მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ მოვლა-პატრონობას, რესპუბლიკაში მოსწავლე და მის გარეთ სასწავლებლად წასულ სტუდენტ ახალგაზრდობას.

2. საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების სახსრები ძირითადად გაუნაწილოს ქართველ მოსახლეობას წესდებით დამტკიცებული პირობების მიხედვით.

3. გააერთიანოს და ერთმანეთს დაუკავშიროს ფონდის მიზნის მისაღწევად დაინტერესებული ინდივიდუალური და კოლექტიური წევრები.

დასახული ამოცანების მისაღწევად ფონდი:

4. აარსებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფონდის რეგიონალურ განყოფილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იწვევს ფონდის საკრებულოს.

6. გამოსცემს პერიოდულ ცნობარს და ბიულეტენს.

7. ეხმარება წევრებს კონსულტაციებით.

8. აგზავნის წევრებს მივლინებებში და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

9. ამყარებს კავშირს სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

III. ფონდის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

1. ფონდი შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

2. ფონდის ინდივიდუალურ წევრად მიიღებიან საქართველოს სსრ, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მოქალაქენი, რომლებიც აღიარებენ მის წესდებას.

3. ფონდის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ საწარმოები, საბიუჯეტო დაწესებულებები, კოოპერატივები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, სხვა სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აღიარებენ ფონდის წესდებას.

ფონდის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებს ეძლევათ წევრობის მოწმობა.

4. ფონდის ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების მიღება ხდება ფონდის გამგეობასა და რეგიონალურ განყოფილებებში წევრად შემსვლელის განცხადების საფუძველზე ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.

5. სათათბიროს გადაწყვეტილებით ფონდის საპატიო წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ საქართველოს სსრ, სსრ კავშირის და სხვა ქვეყნების მოქალაქეები. ფონდის საპატიო წევრებად არჩეული მოქალაქენი ითვლებიან საკრებულოს დელეგატებად და მათ ეძლევათ სათათბირო ხმის უფლება.

6. ფონდის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს ფონდის არჩევით ორგანოებში;

ბ) მიიღოს მონაწილეობა ფონდის ყველა ღონისძიებაში;

გ) სურვილისამებრ გავიდეს ფონდიდან;

დ) სათათბიროსა და გამგეობის გადაწყვეტილებით საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს სხვადასხვა სახის შეღავათით.

7. ფონდის წევრი მოვალეა:

ა) ასრულებდეს ფონდის წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დავალებებს და მონაწილეობდეს მის საქმიანობაში წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

ბ) დროულად შეიტანოს საწევრო გადასახადი.

8. ფონდის წევრები გაირიცხებიან წესდების უხეში დარღვევისათვის ან მოქალაქისათვის შეუფერებელი საქციელის გამო.

გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეუძლია მიიღოს ფონდის სათათბიროს, გამგეობამ, ასევე რეგიონულმა განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიცხულს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება ფონდის ხელმძღვან ორგანოში, საკრებულოს ჩათვლით. საკრებულოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

IV. ფონდის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

1. ფონდის სტრუქტურა ეფუძნება ტერიტორიულ პრინციპს. რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შექმნილი განყოფილებები ერთიანდებიან ტერიტორიულ ჯგუფებში ძსხვილი ადმინისტრაციული ქალაქების შესაბამის განყოფილებებთან, რომლებსაც გასაზღვრავს საქართველოს საადგილმამულო, ძოსახლეობის განსახლებისა და დასაქმების ფონდის გამგეობა.

2. ფონდის მმართველი ორგანოებია:

ა) საკრებულო;

ბ) სათათბირო;

გ) გამგეობა;

დ) რეგიონალური განყოფილებები.

3. ფონდის უმაღლესი მმართველი ორგანოს — საკრებულოს მოწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ ხდება.

4. საკრებულო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სამი მეოთხედი.

5. სათათბიროს წევრები ითვლებიან საკრებულოს დელეგატებად არჩევის პროცედურის გარეშე, დელეგატებისათვის გათვალისწინებული ნორმის ზევით.

6. საკრებულო:

ა) განსაზღვრავს ფონდის მუშაობის საერთო მიმართულებას;

ბ) იხილავს და ამტკიცებს სათათბიროს ანგარიშს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

გ) იხილავს და ამტკიცებს ფონდის წესდებას და მასში შეტანილ ცვლილებებს;

დ) განსაზღვრავს სათათბიროს წევრთა საერთო რიცხვს, ირჩევს სათათბიროს თავმჯდომარესა და წევრებს.

7. საკრებულოს დადგენილებები მიიღება დამსწრე დელეგატების ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით.

წესდების შეცვლის, დამატებების ან ფონდის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებათა გამოსატანად საჭიროა საკრებულოს დამსწრე დელეგატთა ხმების სამი მეოთხედი.

8. ფონდის ხელმძღვანელ ორგანოს საკრებულოთა შორის წარმოადგენს სათათბირო, რომელიც შედგება საკრებულოზე არჩეული წევრებისა და სათათბიროს მიერ კოოპტაციის წესით შემოყვანილი პირებისაგან.

სათათბირო იკრიბება სამ თვეში ერთხელ.

9. სათათბირო:

ა) თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს ფონდის გამგეობის თავმჯდომარეს და სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელს; ამტკიცებს მათი ხელფასების თანამდებობრივ განაკვეთებს, განსაზღვრავს ფონდის შტატიანი წევრების მინიმალური და მაქსიმალური ხელფასების განაკვეთებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) იხილავს და ამტკიცებს გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით მოადგილეების კანდიდატურებს, შტატებს, ძრომის ანაზღაურების ფორმებსა და ოდენობის პირობებს;

გ) განსაზღვრავს გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით სათათბიროს იმ წევრთა პრემიებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ფონდის საქმიანობაში;

დ) იხილავს და ამტკიცებს გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ფონდის წლიური და პერსპექტიული მუშაობის გეგმებს და ანგარიშს, ისმენს და ამტკიცებს სარევიზიო ჯგუფის წლიურ ანგარიშს;

ე) წარადგენს წინადადებებს შესაბამის ორგანოებში მსჯავრდებულთა განსახლებისათვის რესპუბლიკის ამა თუ იმ რეგიონში;

ვ) იხილავს სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან მატერიალური და ფულადი სახსრების მოზიდვისა და გამოყენების წესსა და საშუალებებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და წყვეტს მათ გამოყენებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) იხილავს და დამოუკიდებლად წყვეტს მის სარგებლობაში არსებულ ბინათმშენებლობის, სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის საგებობათა მშენებლობის, ამორტიზებული ბინების რეკონსტრუქციის საკითხებს;

თ) იხილავს და წყვეტს ფონდის წილობრივი მონაწილეობის წესს როგორც თავისი, ასევე სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებაში;

ი) საჭიროების შემთხვევაში ქმნის სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციას ფონდის მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად;

კ) იღებს გადაწყვეტილებებს რესპუბლიკის ან მის გარეთ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებისა და მისი ფორმების შესახებ;

ლ) იხილავს ფონდის მორიგი და რიგგარეშე საკრებულოს მოწვევის საკითხს, ადგენს წარმომადგენლობის ნორმებს, დელეგატთა არჩევის წესს, საკრებულოს ჩატარების დროს, ადგილს, საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას და საკრებულოს დღის წესრიგს არა უგვიანეს ერთი თვისა საკრებულოს მოწვევამდე;

მ) წყვეტს ფონდის საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ გადაუდებელ საკითხებს საკრებულოს მოწვევამდე.

10. სათათბიროს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სამი მეოთხედი.

სათათბიროს გადაწყვეტილებები მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მას ხმას მისცემს სათათბიროზე დამსწრე წევრთა სამი მეოთხედი ღია ან ფარული კენჭისყრით.

11. ფონდის ყოველდღიურ საქმიანობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს გამგეობა, რომელიც:

ა) ახორციელებს საკრებულოსა და სათათბიროს დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ადგენს წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს და ანგარიშს;

გ) ხელმძღვანელობს საორგანიზაციო მუშაობას;

დ) განაგებს ფინანსებს სათათბიროს დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად და სარგებლობს განმკარგულებლის უფლებით სათათბიროს თავმჯდომარესთან ერთად;

ე) წარმოადგენს ფონდს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სათათბიროს თავმჯდომარესთან ერთად;

ვ) წილობრივი წესით ახორციელებს სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მათი მატერიალური და ფულადი სახსრების გამოყენებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) ამტკიცებს განყოფილებათა დებულებებს;

თ) ამტკიცებს გამგეობის შტატებს, ხელფასის განაკვეთებს და პრემიებს, გარდა იმ შტატებისა, ხელფასის განაკვეთებისა და პრემიებისა, რომელთაც ამტკიცებს ფონდის სათათბირო;

ი) ამტკიცებს რეგიონალური განყოფილებების ხელმძღვანელ მუშაკებს, შტატებს, ხელფასის განაკვეთებს და პრემიებს, წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, ანგარიშებს;

კ) ამტკიცებს შტატში მყოფ ქართველ თანამშრომელთა ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი შვილი, ყოველთვიური დახმარების თანხას და ყველა წევრის პენსიაზე გასვლისას ერთდროული დახმარების თანხის ოდენობას;

ლ) ამყარებს კავშირს რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან;

მ) შეისყიდის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო, კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს (ბინებს) მათი მეპატრონეებისაგან სახელშეკრულებო ფასებით;

ნ) ახორციელებს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს სამეურნეო ან საიჯარო წესით. ზედამხედველობას უწევს ფონდის საკუთრებაში არსებულ სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის ნაგებობების მშენებლობას, ბინათმშენებლობას, ამორტიზებული ბინების რეკონსტრუქციას;

ო) ხელს უწყობს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სესხის, ფინანსური და მატერიალური დახმარების გაცემით ქართველი მოსახლეობის საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა რეგიონში განსახლებას მათი თანხმობით;

პ) ხელს უწყობს ფინანსური და მატერიალური დახმარებით და სესხის გაცემით სოფლად დასაქმებულ მოსახლეობას;

ჟ) ხელს უწყობს ფონდის წევრ კოოპერატივებს ფინანსური და მატერიალური დახმარებით და სესხის გაცემით;

რ) ხელს უწყობს ფონდის კოოპერაციული და სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების შექმნას და განვითარებას;

საქ. სსრ კ. მარქსი
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ს) უწევს ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას ხანდაზმულ მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ მეურვეობა, მარტოხელა ქალებს და ხელმოკლე მრავალშვილიან ოჯახებს, სტიქიური და სხვა უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას;

ტ) უწევს დახმარებას სტიპენდიის ან დახმარების სხვა სახით რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას ფონდის სათათბიროს ან მისი თავმჯდომარის შუამდგომლობით;

უ) საქართველოს სს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ანაწილებს საზოგადოების კუთვნილ საბინაო და საზოგადოებრივ მიწის ფონდს.

12. ფონდის რეგიონალური განყოფილებები:

ა) ახორციელებენ საკრებულოს, სათათბიროს, გამგეობის დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ბ) ამუშავებენ ფონდის საერთო დებულებიდან გამომდინარე საკუთარ დებულებებს;

გ) ხსნიან საკუთარ ანგარიშს ბანკში;

დ) ყველა სახის შემოსავალს ჩარიცხავენ ფონდის გამგეობის ანგარიშზე და მისგან მიზნობრივი დანიშნულებით იღებენ ფულად სახსრებს;

ე) განაგებენ რეგიონში მათ კუთვნილ მატერიალურ ფასეულობასა და ფინანსებს;

ვ) ადგენენ განყოფილების მუშაობის წლიურ და პერსპექტიულ გეგმებსა და ანგარიშებს ფონდის გამგეობასთან შეთანხმებით;

ზ) ხელმძღვანელობენ განყოფილების საორგანიზაციო მუშაობას;

თ) წარმოადგენენ რეგიონალურ განყოფილებებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებში.

13. რეგიონალური განყოფილებების ხელმძღვანელებს ამტკიცებს ფონდის სათათბირო გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით.

14. ფონდის ქვემდგომი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან ზემდგომი ორგანოების წინაშე, რომლის დადგენილებები, ინსტრუქციები და სხვა აქტები სავალდებულოა შესასრულებლად ქვემდგომისათვის.

15. სათათბიროს თავმჯდომარეს, მის წევრებს, გამგეობის თავმჯდომარეს და სარევიზიო ჯგუფის უფროსს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

რიგგარეშე საკრებულოს მოწვევა სათათბიროს თავმჯდომარის გადასარჩევად შეიძლება სათათბიროს წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით.

სათათბიროს თავმჯდომარე ითვლება გადარჩეულად, თუ მის წინააღმდეგ ხმას მისცემს საკრებულოს დამსწრე წევრთა სამი მეოთხედი.

სათათბიროს შეუძლია ვადამდე გაათავისუფლოს გამგეობის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, რეგიონალური განყოფილებისა და სარევიზიო ჯგუფების ხელმძღვანელები, თუ მათ წინააღმდეგ ხმას მისცემს სათათბიროს წევრთა სამი მეოთხედი.

ფონდის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევა ან გადარჩევა ხდება ღია ან ფარული კენჭისყრით.

16. გამგეობის შტატში მომუშავე ვადამდე განთავისუფლებული როგორც ხელმძღვანელი, ისე რიგითი მუშაკი მიიღებს გარკვეულ ფულადკომპენსაციას, თუ ადგილი არ ექნა წესდების უხეშ დარღვევას ამ მოქალაქისათვის შეუფერებელ საქციელს.

ფულადი კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სათათბირო.

17. ფონდის სარევიზიო ორგანო არის სარევიზიო ჯგუფი რომლის ხელმძღვანელს ირჩევს და ამტკიცებს სათათბირო თავმჯდომარის წარდგინებით. არჩეულად ითვლება ის პირი, რომელიც მიიღებს სათათბიროს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობას ღია ან ფარული კენჭისყრით.

სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელი მონაწილეობს სათათბიროსა და გამგეობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

18. სარევიზიო ჯგუფი:

ა) ამოწმებს ფონდის გამგეობისა და რეგიონული განყოფილებების ფინანსურ საქმიანობას;

ბ) კონტროლს უწევს საკრებულოს, სათათბიროსა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

გ) კონტროლს უწევს ფონდის წესდებით, დებულებით, ბრძანებულებით და ინსტრუქციებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას და სხვ.

19. სარევიზიო ჯგუფი შემოწმების შედეგებს მოახსენებს სათათბიროსა და გამგეობას.

20. სარევიზიო ჯგუფის მოხსენებებს წლიური ანგარიშის შესახებ ისმენს და ამტკიცებს სათათბირო.

V. ფონდის ქონება და ფინანსები

1. ფონდი სათათბიროს გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ გასცემს საცხოვრებელ სახლს (ბინას) უვადო სარგებლობისათვის.

2. ფონდი სათათბიროს თავმჯდომარისა და გამგეობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საცხოვრებელ სახლს (ბინას) გასცემს უვადო სარგებლობისათვის სასასყიდლო ღირებულების სრული ან ნაწილობრივი გადახდით.

3. ფონდი არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებზე გასცემს საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს.

4. ა) 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წესით ფონდის მიერ საცხოვრებელი სახლის (ბინის) გასხვისების უფლება მფლობელს არა აქვს;

ბ) მფლობელის მიერ მე-2 პუნქტით გათვალისწნებული წესით გადაცემული სახლის (ბინის) განსხვისების შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლებას იტოვებს გამგეობა;

5. ფონდი საკუთარი სახსრებით აწარმოებს კუთვნილი საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ორმხრივი ხელშეკრულებით.

6. ფონდი აძლევს სესხს, უწევს ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას მოსახლეობას, მის წევრ კოოპერატივებს და სხვა კოოპერაციულ თუ სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) კოლექტიური და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (ბინების) და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობისათვის;

ბ) კოლექტიური და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (ბინების) და სამეურნეო ნაგებობების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთებისათვის;

გ) საინჟინრო ქსელებისა და დანადგარ-მოწყობილობის შესაძენად;

დ) სახელმწიფო კოოპერაციული, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (ბინების) შესაძენად;

ე) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საინჟინრო დანადგარ-მოწყობილობის შესაძენად;

ვ) სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებული მეურნეობის აღსადგენად;

ზ) არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქის მცხოვრებთათვის სოფელ ადგილებში ინდივიდუალური საკარმიდამო ნაკვეთების მოსაწყობად;

თ) კოოპერაციული და სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციების შექმნისა და განვითარებისათვის.

7. დადგინდეს, რომ მე-6 პუნქტში ნაჩვენები სესხის გამოყენებისათვის მოქალაქეები უხდიან ფონდს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს.

სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში იხდიან ვადის გადაცილების დროის განმავლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საურავს.

8. ფონდს უფლება აქვს გაცემული სესხის არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის ვადაზე ადრე დააფარინოს დავალიანება მთლიანად მიღებული სესხის თანხაზე ჯარიმის სახით დააროცხოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტი.

9. დიდი სამამულო ომის მონაწილეები და ინვალიდები, აგრეთვე შრომის ინვალიდები, სამხედროები და მათთან გათანაბრებული დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები თავისუფლდებიან სესხით სარგებლობის პროცენტისაგან მხოლოდ გამგეობის გადაწყვეტილებით.

10. სათათბიროს გადაწყვეტილებებით ხორციელდება ფონდის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე და საძოვრებზე ისეთი პროდუქციის მოყვანის დაფინანსება, რომლის დამზადება ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში სურსათით მომარაგების გაუმჯობესებას.

11. ხორციელდება ფინანსური და მატერიალური დახმარების გაცემა:

ა) დემოგრაფიული თვალსაზრისით მწვავე რეგიონებისა და სტიქიური ან სხვა უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის;

ბ) მარტოხელა ქალებისა და ხელმოკლე მრავალშვილიანი ოჯახებისათვის;

გ) რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის სტიპენდიის ან დახმარების სხვა სახით.

12. ფონდს სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დამყარებული აქვს სამართალურთიერთობითი კავშირი ხელშეკრულების ფორმით.

13. ფონდი ვალდებულებას კისრულობს საქართველოს სს რესპუბლიკის წინაშე გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხს აგებს სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზაციების წინაშე თავისი ფინანსური და მატერიალური სახსრებით.

14. ფონდის ფინანსური სახსრები შედგება:

ა) ფონდის იხდივიდუალურ წევრთა პიოველადი და ყოველწლიური საწევრო გადასახადისაგან არანაკლებ 50 მანეთის ოდენობით, აგრეთვე საქველმოქმედო ხებაყოფლობითი შენატანისაგან;

ბ) კოლექტიურ წევრთა პიოველადი შესატანისა (სამეურნეო ორგანიზაციებისათვის არა ნაკლებ 1000 მანეთისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის არა ნაკლებ 500 მანეთისა) და ორმხრივი ნელმეკრულებით გათვალისწინებული ყოველწლიური გადასახადებისაგან, აგრეთვე საქველმოქმედო და ხებაყოფლობითი შეხატანისაგან;

გ) ფონდის გახკარგულებაში არსებული მატერიალური და ფულადი სახსრების სარგებლობისათვის მიღებული ანარიცხებისაგან;

დ) სესხით სარგებლობის პროცენტებისაგან;

ე) მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხისაგან;

ვ) ფონდის საძეურნეო, კოოპერაციული და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისაგან;

ზ) ფონდის მიერ მიწნობოვი ლატარიის ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავლისაგან დადგენილი წესით.

15. საზოგადოების ფონდის ფულადი სახსრების ხარჯვა ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

16. ფონდის გამგეობის ანგარიშზე ირიცხება მთელი ფულადი და მატერიალური შემოსავალი.

17. საკუთარ დებულებებს ამუშავებენ და ბანკში ხსნიან ანგარიშს ფონდის რეგიონული განყოფილებები გამგეობის გადაწყვეტილებით.

18. თბილისის განყოფილება ბანკში არ ხსნის ცალკე ანგარიშს და მთელ შემოსავალს ურიცხავს ფონდის გამგეობას. თბილისის ორგანიზაცია თავისი მუშაობისათვის საჭირო თანხებს იღებს გამგეობისაგან.

VI. საზოგადოების ფონდები

1. ფონდს აქვს:

ა) საწესდებო ფონდი (ძირითადი და საბრუნავი საშუალებები);

ბ) შრომის ანაზღაურების ფონდი (ხელფასი, პრემია, დახმარება);

გ) სათადარიგო ფონდი;

დ) საცხოვრებელი სახლების (ბინების) შესყიდვის ფონდი;

ე) ფონდის საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი (ფონდის საწარმოო, სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის ნაგებობების მშენებლობა, ბინათმშენებლობა, ამორტიზებული ბინების რეკონსტრუქცია, კოოპერაციული და სამეურნეოანგარიშიანი საწარმოების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საინჟინრო დანადგარ-მოწყობილობების შეძენა და სხვა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) სესხისა და მატერიალური დახმარების ფონდი.

2. ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების წესებს ამუშავებს ფონდის გამგეობა და ამტკიცებს სათათბირო.

გადაწყვეტილება ფონდების გადანაწილების, გადიდების, შემცირების ან ახალი ფონდის შექმნის შესახებ მიიღება სათათბიროს მიერ.

ფონდები შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც საბჭოთა, ისე უცხოური ვალუტით.

VII. ფონდის ლიკვიდაციის წესი

1. ფონდის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს საკრებულოს დამსწრე წევრ დელეგატთა სამი მეოთხედის გადაწყვეტილებით.

2. საკრებულო ადგენს, თუ ვის გადაეცეს მატერიალური და ფინანსური სახსრები ლიკვიდაციის შემდეგ.

108 საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 1 ნოემბერი, № 529

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 1 ნოემბრის № 529
დადგენილებით

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი:

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირი (შემდგომ კავშირი) თავის მუშაობას ახორციელებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

კავშირის მიზანია ზრუნვა ქართულ ფასეულობებზე, კულტურაზე, ეკონომიკაზე, ბუნებასა და მოსახლეობის ყოფაზე, რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის შემდგომ განვითარებასა და მისი მიღწევების დანერგვაზე, პირობების შექმნაზე თვითმმართველობისა და თვითდაფინანსებისათვის, კოოპერაციული მოძრაობის გაფართოებაზე, ეროვნულ-დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამ ღონისძიებათა დაფინანსებასა და სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებაზე.

კავშირი ურთიერთობას ამყარებს საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, კოოპერატივებთან და კერძო პირებთან როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

კავშირი იურიდიული პირია, არის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, აქვს საკუთარი ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

კავშირი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს საქმიანობისა და ვალდებულებებისათვის, ასევე სახელმწიფო პასუხისმგებელი არ არის კავშირის საქმიანობისა და ვალდებულებებისათვის.

II. კავშირის ძირითადი ამოცანები

კავშირის ძირითადი ამოცანებია:

— ეკონომიკურად დასაბუთებული პროგრესული ფორმების გამოყენებით ხელი შეუწყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოს, ორგანიზაციისა და კოოპერატივის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვას, ექსპორტის პოტენციალის გაზრდას, სოციალურ-კულტურული სფეროსა და მომსახურების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდას, ეროვნული კულტურისა და რეწვის დარგების აღორძინებას;

— მხარი დაუჭიროს ნებისმიერ ეკონომიკურად დასაბუთებულ ინიციატივას მისი შემდგომი დანერგვის მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამოგონებათა პრაქტიკულად დანერგვის საქმეში;

— შექმნას ერთობლივი წარმოებები სახელმწიფო, კოოპერაციული სექტორისა და საზღვარგარეთის წარმოებებთან, ორგანიზაციებთან, ფირმებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— განავითაროს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა შემოქმედებითი ინიციატივა და დაეხმაროს მათ განხორციელებაში;

— განახორციელოს ღონისძიებანი გარემოს გასაჯანსაღებლად;

— გაამახვილოს საზოგადოების ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლებზეც საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება ან ყოველდღიური მეურვეობა.

III. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

კავშირის წევრად ითვლება მასში ნებაყოფლობით გაერთიანებული საწარმოები (გაერთიანებები), დაწესებულებები, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციები, კოოპერატივები, კავშირის რეგიონალური ფილიალები, კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები, ინდივიდუალური პირები.

კავშირის პირველადი ორგანიზაციები იქმნება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით საწარმოებში, სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებში, ფირმებსა და კოოპერატივებში, აგრეთვე ინდივიდუალური პირების მიერ, თუ საზოგადოებაში შესვლის სურვილს აცხადებს არანაკლებ 5 კაცისა.

პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა ორგანიზაციის კრება, რომელსაც იწვევენ საჭიროებისამებრ.

პირველად ორგანიზაციებში, სადაც ირიცხება საზოგადოების 30 წევრამდე, ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს, ხოლო სადაც 30 წევრზე მეტია — თავმჯდომარესა და კომიტეტს, პირველადი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ვადით, ღია ან ფარული კენჭისყრით.

პირველადი ორგანიზაცია ირჩევს კავშირის ყრილობის დელეგატებს.

კავშირის წევრებს კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად აქვთ სრული ავტონომია მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრასა და წარმოებით ურთიერთობათა განხორციელებისას.

კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც იწვევენ წელიწადში ერთხელ.

ყრილობის კომპეტენციაში შედის:

— კავშირის წლიური ანგარიშის დამტკიცება;

— კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული წინადადებების განხილვა;

— კავშირის ფონდების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა;

— სარევიზიო კომისიის მუშაობის შედეგების განხილვა;

— კავშირის საქმიანობის საერთო მიმართულების განსაზღვრა;

— კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხებისა და კავშირის კომერციული ურთიერთობების განხილვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობის არჩევა;

— კავშირის გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცება, რომელსაც, როგორც წესი, წამოაყენებს კავშირის გამგეობა;

— ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს ხმის უმრავლესობით.

კავშირის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს კავშირის გამგეობა, რომელსაც ირჩევენ 5 წლის ვადით და პასუხისმგებელია ყრილობის წინაშე.

კავშირის გამგეობა შედგება თავმჯდომარის, მოადგილეებისა და დაქვემდებარებული სამსახურების, მსხვილი წარმოებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელებისაგან.

გამგეობის გადაწყვეტილებით გამოჩენილი საზოგადო, პოლიტიკური და სამეურნეო მოღვაწეები შეიძლება არჩეულ იქნენ გამგეობის საპატიო წევრებად ხმის უფლებით. მათი გამგეობის სხდომაზე დასწრება სავალდებულოა მათს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. გამგეობის სხდომები იმართება რეგულარულად გამგეობის მიერ დადგენილ ვადებში.

კავშირის გამგეობა:

— განიხილავს და განსაზღვრავს ყრილობაზე გასატან ყველა საკითხს;

— განიხილავს და ამტკიცებს კავშირის სამეურნეო ანგარიშს, ფონდების ფორმირებისა და გამოყენების წესებს;

— განიხილავს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ფილიალების საქმიანობას;

— ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;

— ამტკიცებს კავშირისა და მისი რეგიონალური ფილიალების შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საერთო წესებს;

— განიხილავს ერთობლივ საწარმოთა შექმნის საკითხებს;

— იხილავს და წყვეტს დაქვემდებარებული სამსახურების, წარმოებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნისა და გაუქმების საკითხებს.

გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. დადგენილება მიიღება ხმის უმრავლესობით. ხმების თანაბარი ოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის ხმა.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:

— ახორციელებს კავშირის ხელმძღვანელობას;

— გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და სხვა მითითებებს, რომლებიც არ სცილდებიან კავშირის კომპეტენციას.

— წარმოადგენს კავშირს, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ ფირმასთან, გასცემს მინდობილობებს, ადგენს ურთიერთშეთანხმებებისა და სხვა ხელშეკრულებების წესებს.

IV. სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისიას ირჩევს კავშირის ყრილობა 5 წლის ვადით და ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისიაში არ შეიძლება შევიდნენ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები.

კავშირის საქმიანობის რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ და მის შედეგებს განიხილავს ყრილობა.

კავშირის ყოველი თანამშრომელი ვალდებულია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს სარევიზიო კომისიას მუშაობაში.

V. კავშირის სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები

კავშირი წარმოადგენს ეკონომიკურად დამოუკიდებელ საზოგადოებას, რომელიც თვითონ განსაზღვრავს კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. კავშირის ყველა ხარჯი იფარება მხოლოდ საკუთარი შემოსავლით.

კავშირი თავის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობებს საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე.

კავშირის მთლიანი შემოსავალი ყალიბდება მისი საკუთარი შემოსავლისა და საქველმოქმედო შემოწირულებისაგან.

კავშირი თავისი ამოცანების შესასრულებლად ახორციელებს საწარმოო, საფინანსო-სამეურნეო და საშუამავლო საქმიანობას, რისთვისაც ქმნის მუდმივმოქმედ ან დროებით სამეურნეოანგარიშიან საწარმოებს, ბანკებს, საკონსულტაციო, საფინანსო-საანგარიშო და სასწავლო ცენტრებს ან ქვეგანაყოფებს, საშუამავლო, სარეკლამო, საგამომცემლო და სხვა ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კავშირი ქმნის შემდეგ ფონდებს:

— სარეზერვო ფონდს — შესაძლებელი ზარალის დასაფარავად; ფონდი იქმნება საკუთარი შემოსავლის ხარჯზე. სარეზერვო ფონდიდან სახსრები შეიძლება მიმართულ იქნეს სხვადასხვა გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა აპრობაციისა და ექსპერიმენტულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

— საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი — იქმნება საკუთარი შემოსავლის ხარჯზე. ფონდი გამოიყენება მატერიალური ბაზის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად და თანამშრომელთა სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამორტიზაციის დარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რჩება კავშირის სრულ განკარგულებაში და ჩაირიცხება საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდში;

— აღორძინების ფონდი — იქმნება საკუთარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა და საქველმოქმედო შემოწირულების ხარჯზე. ფონდი გამოიყენება მხოლოდ საქართველოს სოციალური, კულტურული და ეროვნული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შრომის ანაზღაურების ფონდი — იქმნება საკუთარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე და გამოიყენება შრომის ასანაზღაურებლად და მოწინავე თანამშრომელთა წასახალისებლად, აგრეთვე მატერიალური დახმარებისათვის.

კავშირის საკუთარ შემოსავლად ითვლება:

— შემოსავალი ერთობლივ საწარმოთა მოგებიდან;

— გადასახადები, რომლებიც მიღებულია ორგანიზაციებისა და საწარმოების, კოოპერატივებისა და ცალკეული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან;

— სხვა შემოსავალი.

კავშირის ძირითადი ხარჯებია:

— ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები;

— გადასახადი კრედიტით სარგებლობისათვის;

— დივიდენდები. შემოტანილი სახსრების პროპორციულად;

— ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე კერძო პირების მიერ კავშირის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულება.

შემოსავალი ფონდებში ნაწილდება გამგეობის მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით.

გამგეობას ცალკეულ შემთხვევაში უფლება აქვს გადაანაწილოს სახსრები ფონდებს შორის. გამონაკლისია აღორძინების ფონდი, რომლის მხოლოდ გაზრდა შეიძლება სხვა ფონდების ხარჯზე.

კავშირის რეგიონალური ფილიალების ხარჯები იფარება მხოლოდ მათი საკუთარი შემოსავლით. ყველა სახის საქველმოქმედო შემოწირულება ჩაირიცხება კავშირის აღორძინების ფონდში. რეგიონალური ფილიალების აღორძინების ფონდის 25 პროცენტი ჩაირიცხება კავშირის ცენტრალიზებულ ფონდში.

VI. კავშირის უფლებები

კავშირს უფლება აქვს:

— გახსნას თავისი რეგიონალური ფილიალები, ჰყავდეს წარმომადგენლები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— სახელმწიფო ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, კოოპერატივებთან და კერძო პირებთან ერთად წილობრივ პრინციპებზე დაყრდნობით მონაწილეობა მიიღოს საწარმოების, კოოპერატივების, აგრეთვე ინდივიდუალური საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებადაკრედიტებაში, ახალი საწარმოებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბებაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადაწყვიტოს დაქვემდებარებული სამსახურებისათვის, საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის იურიდიული პირის

უფლების მინიჭების საკითხი და დაამტკიცოს მისი წესდება. ხელშეკრულების დადების წინ ჩაატაროს შემოთავაზებული ღონისძიებების ექსპერტიზა და ეკონომიკური ანალიზი, როგორც საკუთარი, ისე მოწვეული ძალებით და მოახდინოს მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ხელშეკრულების საფუძველზე.

VII. კავშირის საქმიანობის შეწყვეტა

კავშირის საქმიანობა წყდება ყრილობის გადაწყვეტილებით. მისი ქონების განაწილება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

109 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 ნოემბრის № 530 დადგენილების მოქმედების ვადის გადატანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე „რესპუბლიკაში დასვენების დღეების შაბათ-კვირიდან ოთხშაბათ-ხუთშაბათს გადატანისა და ამასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 ნოემბრის № 530 დადგენილების მოქმედების ვადა გადატანილ იქნეს სხვა დროისათვის.

2. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 ნოემბერი, № 544

110 საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსაშენმასალების" სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. ს. ქუთათელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსაშენმასალების" შუამდგომლობა და მიენიჭოს სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს მისი პირველი დირექტორისა და დამაარსებლის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. ს. ქუთათელაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ნოემბერი, № 545

ეროვნული ბიბლიოთეკა

111 თბილისის „ერთი მსახიობის“ სახელმწიფო თეატრისათვის ვ. ი. ანჯაფარიძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინადადება და მიეკუთვნოს თბილისის „ერთი მსახიობის“ სახელმწიფო თეატრს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქის ვერიკო (ვერა) ივლიანეს ასული ანჯაფარიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭკვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ნოემბერი, № 546

112 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 31 აგვისტოს № 708 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების დაკომპლექტებასა და სპეციალისტთა მომზადებაში სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 31 აგვისტოს № 708 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28 აპრილის № 295 დადგენილების მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2. „1986—1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდში სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვები მრეწველობის დარგებისა და მომსახურების სფეროსათვის კადრების მომზადების გაფართოებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 ნოემბრის № 718 დადგენილების მე-15 პუნქტის IV-VI აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჭკვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ნოემბერი, № 547

ეროვნული ბიბლიოთეკა

113 საქართველოს მშენებელთა კავშირის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს მშენებელთა კავშირის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ნოემბერი, № 548

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 16 ნოემბრის № 548
დადგენილებით

საქართველოს მშენებელთა კავშირის

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს მშენებელთა კავშირი არის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს სამშენებლო წარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური სფეროს პროფესიონალ მშენებლებს, რეგიონალურ კავშირებს და შრომითს კოლექტივებს.

კავშირის საქმიანობას საფუძვლად უდევს თვითმმართველობის, დემოკრატიული ცენტრალიზმის, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და თვითდაფინანსების პრინციპი.

მშენებელთა კავშირი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მშენებელთა პროფესიულ დაოსტატებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ეროვნული სამშენებლო ტრადიციებისა და ეროვნული კულტურის აღორძინებას, მშენებელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კავშირის ძირითადი მიზანია თავი მოუყაროს დარგის მუშაკთა, მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შემოქმედებითს პოტენციალს დარგის ეფექტიანობის ასამაღლებლად და უზრუნველყოს მართვის სისტემის დეცენტრალიზაციის, საჯაროობისა და დემოკრატიულობის პირობებში კავშირის წევრთა ძალების კონსოლიდაციას.

დაიცვას თავისი წევრების, დარგის ინტერესები, გამოვიდეს აქტიური პარტნიორის როლში და იბრძოლოს მშენებელთა სამართლებრივი დაცვისათვის. დაიკავოს ოპონენტის პოზიცია კანონმდებელი და მანორმირებელი დოკუმენტების მიმართ, შეიმუშაოს ალტერნატიული ვარიანტი და იბრძოლოს მისი განხორციელებისათვის.

თავისი საქმიანობისას კავშირი ხელმძღვანელობს პროგრამით და წესდებით, ეყრდნობა საერთო საკავშირო და რესპუბლიკის კანონმდებლობებს, აქტიურად თანამშრომლობს საკავშირო და რესპუბლიკურ სახელმწიფო, საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ამყარებს კავშირს საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა გაერთიანებებთან და ფირმებთან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

I. კავშირის ძირითადი ამოცანები

საქართველოს მშენებელთა კავშირის ძირითადი ამოცანებია:

— შეიმუშაოს სამშენებლო დარგის განვითარების სტრატეგიული კურსი;

— განსაზღვროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიცვას დარგის მუშაკთა და კავშირის წევრთა სამართლებრივი ინტერესები;

— დაიცვას კულტურისა და ისტორიული ძეგლები და ეკოლოგიური გარემო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად;

— შეიმუშაოს მშენებლობის ტექნოლოგიის სრულყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტიული ღონისძიებანი;

— ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მშენებელთა ავტორიტეტის განმტკიცებას, ახალგაზრდა სპეციალისტთა იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას, ეროვნულ-პროფესიული თვითშეგნების ამაღლებას;

— იბრძოლოს ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად დარგის ინტენსიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად;

— ხელი შეუწყოს დარგის ეკონომიკურ გაჯანსაღებას და ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას, მშენებელთა პროფესიული დონისა და პრესტიჟის ამაღლებას.

ამ ამოცანების შესასრულებლად რესპუბლიკის მშენებელთა კავშირი:

1. შეიმუშავებს კონკრეტულ გეგმებს მიმდინარე და შემდგომი ეტაპისათვის, შეიმუშავებს პროგრამას და წარუდგენს დასამტკიცებლად ყრილობას.

2. კოორდინაციას უწევს რეგიონალური და კოლექტიური წევრების მუშაობას, ამასთან იცავს მათს შემოქმედებითს სუვერენიტეტს და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას.

3. ახორციელებს ღონისძიებებს დარგისა და კავშირის წევრების სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად, ფლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, ამუშავებს წინადადებებს და კანონპროექტებს დარგის იურიდიული საფუძვლის გასაძლიერებლად, მისი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ასაყვანად, წარუდგენს კანონმდებელ ორგანოებს და იბრძვის მათი სამოქმედოდ შემოღებისათვის.

4. აანალიზებს მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს და იღვწის მათი მშენებლების ინტერესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

5. უფლებამოსილია სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, შეაჩეროს ან ნაწილობრივ შეზღუდოს პროექტის, მშენებლობის ნორმატიული და საკანონმდებლო დოკუმენტების განხორციელებისა და მოქმედების არე, თუ კი იგი ზიანს აყენებს მშენებლების ინტერესებს, ეროვნული კულტურის ძეგლებს ან გაუმართლებელია ეკოლოგიური თვალსაზრისით.

6. შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს ეკონომიკური მახასიათებლების დასადგენად და სამშენებლო პროცესის ყველა სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის სფეროს განსავითარებლად.

7. ფართოდ იყენებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად თავის პერიოდულ გამოცემებს (გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი), ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, ატარებს ლექციებს, მართავს სემინარებს, პროფესიულ და შემოქმედებითს საღამოებს.

8. ამყარებს კავშირს საზღვარგარეთისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მონაწილეობს სიმპოზიუ-

მებში, კონფერენციებში, ორგანიზაციას უწევს სპეციალისტთა შემოქმედებითს მივლინებებს, აწყობს ექსკურსიებს, მონაწილეობს გამოფენებსა და კონკურსებში.

9. აქტიურად უწყობს ხელს მშენებელთა, დამპროექტებელთა, დამკვეთთა და მშენებლობის ციკლის სხვა მონაწილეთა შემოქმედებითს თანამშრომლობას.

ამზადებს წინადადებებს ინვესტიციის ყველა მონაწილის ურთიერთკავშირის გასაუმჯობესებლად, პასუხისმგებლობის ასამაღლებლად და მათ განსახორციელებლად.

10. იღვწის კავშირის წევრებისა და აპარატის მუშაკთა სოციალური ყოფის გასაუმჯობესებლად.

11. მონაწილეობს კანონპროექტების დამუშავებაში, რომელთა მოქმედება მთლიანად ან ნაწილობრივ ეხება დარგის ინტერესების ნებისმიერ ასპექტს.

12. ირჩევს სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს ყველა ღონის საარჩევნო ორგანოში.

13. მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოაწყოს კავშირის წევრთა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, გამართოს დემონსტრაცია, მიტინგი, მანიფესტაცია, გაფიცვა და კანონით ნებადართული სხვა მშვიდობიანი ღონისძიებანი.

II. კავშირის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

14. მშენებელთა კავშირის წევრებად მიიღებიან:

— პროფესიონალი მშენებლები, ძირითად სამშენებლო პროფესიათა მაღალი კვალიფიკაციის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და სხვა სპეციალობის მუშაკები, რომლებიც შრომობენ სამშენებლო ან სამშენებლო ინდუსტრიის ორგანიზაციებში, ფირმებში, კოოპერატივებსა და სხვა გაერთიანებებში;

— საპროექტო სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს, პედაგოგიურ სფეროსა და სხვა დარგებში მომუშავე დიპლომიანი ინჟინრები;

— გამონაკლისის სახით სხვა დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, მეცნიერები, ტექნიკის დარგის მუშაკები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს დარგის განვითარებაში.

15. კავშირის წევრი ვალდებულია:

— დაიცვას კავშირის წესდება;

— აქტიური მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობაში, საერთო გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების შესრულებაში;

— აიმაღლოს პროფესიული დონე;

— გაუფრთხილდეს კავშირის წევრის სახელსა და ღირსებას, დაიცვას კავშირის ავტორიტეტი;

— რეგულარულად იხდიდეს საწევროს.

16. წევრად მიღება ხდება ინდივიდუალურად, პირველადი ორგანიზაციის საბჭოს სხდომაზე, მისი არარსებობისას — კოლექტიური წევრის, ან რეგიო-

ნალური კავშირის საბჭოს სხდომაზე, გამონაკლისის სახით — რესპუბლიკური კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე პირადი განცხადებისა და კავშირის ორი წევრის ან შრომითი კოლექტივის საბჭოს რეკომენდაციით.

17. წევრად მიღებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს რესპუბლიკური კავშირის პრეზიდიუმში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

18. კავშირის წევრს ეძლევა წევრის ბილეთი.

19. კავშირის წევრი აღრიცხვაზეა პირველადს ორგანიზაციაში, ხოლო თუ პირველადი ორგანიზაცია არ არის, რეგიონალურ ორგანიზაციაში ან კოლექტიური წევრის შემადგენლობაში.

20. კავშირის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციებში (რომლებზეც ვრცელდება კანონი საწარმოს შესახებ), გაერთიანებები, შრომითი კოლექტივები, კოოპერატივები, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საპროექტო და დამკვეთის სამსახურები, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა.

21. პირველადი ორგანიზაცია იქმნება იქ, სადაც არის კავშირის სამი და მეტი წევრი.

22. კოლექტიურ წევრს უფლება აქვს იყოლიოს პირველადი ორგანიზაციის საბჭოები და კოორდინაცია გაუწიოს მათს საქმიანობას.

23. კავშირის კოლექტიური წევრი ვალდებულია შეუქმნას პირველადს ორგანიზაციებს და მის შემოქმედებითს გაერთიანებებს, ნორმალური მუშაობის პირობები.

24. კოლექტიური წევრი შეიძლება გაერთიანდეს რეგიონალურ, ან უშუალოდ რესპუბლიკურ კავშირში და სარგებლობს რეგიონალური კავშირის თანაბარი უფლებით.

გადაწყვეტილებას კოლექტიური წევრის რესპუბლიკურ კავშირში მიღების შესახებ პრეზიდიუმი იღებს სათანადო ორგანიზაციის ან საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭოს განცხადების შრომითი კოლექტივის მიხედვით საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ხმების არანაკლებ ორი მესამედით.

25. საწევრო შენატანის ნორმებს როგორც ინდივიდუალური, ისე რეგიონალური და კოლექტიური წევრისათვის აწესებს კავშირის პრეზიდიუმი. საწევროს გადარიცხვა წარმოებს რესპუბლიკის მშენებელთა კავშირის ანგარიშზე.

26. კავშირის წევრი შეიძლება გაირიცხოს (ან დათხოვნილ იქნეს):

— კავშირის მუშაობაში მონაწილეობაზე სისტემატურად უარის თქმისათვის;

— ანტისაზოგადოებრივი ან ამორალური საქციელისათვის, რომელიც ლახავს წევრის ღირსებას და საზოგადოების პრესტიჟს;

— წესდების დარღვევისათვის;

— საკუთარი განაცხადებით ან კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

— გარიცხვა (დათხოვნა) ხდება პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე ხმის უმრავლესობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რესპუბლიკური კავშირის საბჭოს პრეზიდიუმში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა;

— გარიცხული (დათხოვნილი) პირი და კოლექტიური წევრი შეიძლება მიღებულ იქნეს ხელახლა საერთო წესის საფუძველზე.

27. წევრს უფლება აქვს:

— მონაწილეობდეს კავშირის ყველა ღონისძიებაში;

— დააყენოს კავშირის წინაშე საკითხი და მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში;

— წარადგინოს კანდიდატურა, აირჩიოს და არჩეულ იქნეს კავშირის ყველა არჩევით ორგანოში. არჩეულ იქნეს სახალხო დეპუტატობის კანდიდატად კავშირისაგან. სთხოვოს კავშირს სამართლებრივი დახმარება;

— მოითხოვოს კავშირისაგან წესდებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

III. ორგანიზაციული წყობა

28. საქართველოს მშენებელთა კავშირი არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს აღნიშნული წესდებით, ეყრდნობა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს და წევრთა პერსონალურ პასუხისმგებლობას დავალების შესრულებისათვის.

29. კავშირის ორგანიზაციული საფუძველია პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც იქმნებიან საწარმოო ნიშნის შესაბამისად მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით და თავიანთი სურვილისამებრ ერთიანდებიან ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპის საფუძველზე.

პირველადი ორგანიზაცია იქმნება კავშირის სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით.

30. კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელსაც მოიწვევენ ოთხ წელიწადში ერთხელ. მოწვევის თარიღი, წარმომადგენელთა ნორმა და დღის წესრიგი ცხადდება ყრილობამდე ორი თვით ადრე მაინც.

რიგგარეშე ყრილობას იწვევს კავშირის რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, პრეზიდიუმის ინიციატივით ან წინა ყრილობის დელეგატთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც. რიგგარეშე ყრილობის დელეგატებს ირჩევენ მორიგი ყრილობის დელეგატთა არჩევნებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით, გარდა არჩევნებისა, რომლის კენჭისყრის წესი განსაზღვრულია ამ წესდებით.

31. კავშირის ყრილობა:

— განსაზღვრავს საშენებლო დარგის სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებებს და ახორციელებს ღონისძიებებს მისი იურიდიულ-ნორმატიული საფუძვლების განსამტკიცებლად;

— განიხილავს და ამტკიცებს ან შეაქვს ცვლილებანი და დამატებანი კავშირის წესდებასა და პროგრამაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისმენს და ამტკიცებს პრეზიდიუმისა და საკონტროლო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშებს, იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

— ირჩევს კავშირის პრეზიდენტს, რომელიც ამავე დროს არის საბჭოს თავმჯდომარე და ვიცე-პრეზიდენტს, განსაზღვრავს პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს, ირჩევს ფარული კენჭისყრით საკონტროლო-საბიუჯეტო კომისიას და ამტკიცებს მის დებულებას;

— იღებს დეკლარაციებს, მიმართვებს და მოწოდებებს კავშირის სახელით;

— განსაზღვრავს საბჭოს შემადგენლობას და მისი არჩევის წესს;

— განიხილავს და წყვეტს კავშირის საქმიანობის სხვა საკითხებს.

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა კავშირის ყველა წევრისა და ორგანიზაციისათვის.

32. კავშირის პრეზიდენტად თავისი კანდიდატურის წამოყენების (აცილების) უფლება აქვს კავშირის ყველა წევრს, აგრეთვე რეგიონალურ და დარგობრივ კავშირებს.

კანდიდატი ვალდებულია წარუდგინოს საბჭოს პრეზიდიუმს სამოქმედო პროგრამა არჩევნებამდე ორი თვით ადრე. საბჭოს პრეზიდიუმი უზრუნველყოფს პრეზიდენტობის კანდიდატთა პროგრამების შეუფერხებელ გავრცელებას და განხილვას კავშირის ორგანიზაციებში.

არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ყრილობაზე მიიღებს დელეგატების ხმების უმრავლესობას ფარული კენჭისყრით.

33. კავშირის ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას ყრილობას წარუდგენს პრეზიდენტი, თუ კანდიდატმა ვერ მიიღო დელეგატთა ნახევარზე ერთით მეტი ხმა, პრეზიდენტი წამოაყენებს ახალ კანდიდატურას. არჩევნები იმართება ღია კენჭისყრით. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი შედიან კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

34. კავშირის რესპუბლიკური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც წარმართავს კავშირის საქმიანობას ყრილობებსა და პლენუმებს შორის პერიოდში.

35. კავშირის პრეზიდენტს ირჩევენ მხოლოდ ერთი საარჩევნო ვადით (4 წელი), ამავე თანამდებობაზე მისი განმეორებით არჩევა დასაშვებია მომდევნო საარჩევნო ვადის გასვლის შემდეგ.

36. ყრილობებს შორის პერიოდში კავშირის ხელმძღვანელი ორგანოა რესპუბლიკური საბჭო.

37. რესპუბლიკური საბჭოს პლენუმს მოიწვევენ წელიწადში ორჯერ. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეიძლება პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

პლენუმი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება რესპუბლიკური საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილებას მიიღებენ ხმის უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

38. საკონტროლო-საბიუჯეტო კომისიის წევრები პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. კავშირის რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი:

— იხილავს და ამტკიცებს პრეზიდიუმის მიერ შედგენილი კავშირის მუშაობის გეგმებს, ეხება შესრულების მიმდინარეობას;

— ისმენს პრეზიდენტის ანგარიშს, საკონტროლო-საბიუჯეტო კომისიის შეფასებას განვლილ პერიოდში პრეზიდიუმის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

— განიხილავს კავშირის მორიგი და რიგგარეშე ყრილობის მოწვევის საკითხს, განსაზღვრავს წარმომადგენლობის ნორმებს, დელეგატთა არჩევის წესს, ყრილობის ჩატარების დროს, ადგილსა და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას, ყრილობის დღის წესრიგს;

— შეიმუშავებს პრეზიდიუმისა და საკონტროლო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა რიცხობრივი შემადგენლობის, კანდიდატურების წამოყენებისა და არჩევნების წესის პროექტს და წარუდგენს ყრილობას დასამტკიცებლად;

— იხილავს და ამტკიცებს საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებათა პროექტებს;

— ამტკიცებს პრეზიდიუმის წარდგენით: კავშირის ან მასთან არსებული კომისიების, სექციების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და დებულებებს, რესპუბლიკური საბჭოს ხარჯების წლიურ ფონდს;

— განსაზღვრავს საპრემიო და სხვა ფულადი ფონდების შექმნისა და გამოყენების წესს;

— აწესებს კავშირის საპატიო წოდებებს, ჯილდოებს. შეიმუშავებს მათს დებულებებს და წარუდგენს ყრილობას დასამტკიცებლად;

— განიხილავს და ამტკიცებს კანდიდატებს სახელმწიფო ჯილდოებზე წარსადგენად;

— წყვეტს საკითხებს, რომელთა განხილვის ყრილობამდე გადადება მიზანშეუწონელია და წარუდგენს ყრილობას დასამტკიცებლად.

40. კავშირის პრეზიდიუმის სხდომები იმართება პრეზიდენტის ინიციატივით არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილებები ძალაში შევა, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა ნახევარზე მეტი. პრეზიდენტს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს. საკონტროლო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე პრეზიდიუმის სხდომებს ესწრებიან სათათბირო ხმის უფლებით.

41. კავშირის პრეზიდიუმი:

— შეიმუშავებს და ამტკიცებს კავშირის საქმიანობის სამუშაო გეგმებს, წარმართავს კავშირის ყოველდღიურ საქმიანობას, ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშგებებსა და სხვა მასალებს კავშირის საბჭოს პლენუმებისა და ყრილობებისათვის;

— განსაზღვრავს და ამტკიცებს კავშირის ბიუჯეტსა და ხარჯთაღრიცხვებს, კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

— იხილავს და ამტკიცებს კავშირის ან მასთან არსებული სამეურნეო-ანგარიშიანი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო გეგმებს და ანგარიშგებებს და წარმართავს მათს საქმიანობას;

— განსაზღვრავს კავშირის რეგიონალური და დარგობრივი ორგანიზაციების (კოლექტიური წევრების) საწევრო და სხვა შემოსავლიდან, კავშირის ბიუჯეტში საგადასახადო თანხის ნორმატივებს, გადარიცხვის წესსა და ვადებს;

— ამტკიცებს საწევრო შესატანების ნორმებს და კავშირში შემავალ (კავშირთან არსებული) ორგანიზაციათა საფინანსო-ეკონომიკურ ნორმატივებსა და მაჩვენებლებს;

— ქმნის მიზნობრივ კომისიებს, სექციებს, დროებით კოლექტივებს, საწარმოებს და სხვა ფორმირებებს საკითხების მომზადების, წინადადებების შემუშავების, ორგანიზაციებისათვის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი დახმარების გაწევის მიზნით. იხილავს მათს დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმს;

— ახორციელებს კავშირის, როგორც იურიდიული პირის უფლებებს;

— ამტკიცებს კავშირის სიმბოლიკის (ბეჭდების, შტამპების, ემბლემის, საწევრო ბილეთების და სხვა) ნიმუშებს;

— ითანხმებს რეგიონალური (დარგობრივი) კავშირების და კოლექტიური წევრის საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას;

— პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში კავშირის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი;

— კავშირის სახელით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წარმომადგენლობის უფლება აქვს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ან სათანადო მინდობილობის საფუძველზე პრეზიდიუმის წევრებს;

— პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია პლენუმებისა და ყრილობის წინაშე.

42. რეგიონალური (დარგობრივი) კავშირების და კოლექტიური წევრების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კონფერენცია, თუ წევრთა რიცხვი 200-ზე მეტია და საერთო კრება, თუ წევრთა რიცხვი 200-ზე ნაკლებია. დელეგატებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით.

43. პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა წევრთა საერთო კრება, კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედი. კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის, თუ მას ხმა მისცა დამსწრეთა ნახევარზე მეტმა. საერთო კრებას იწვევენ საჭიროებისამებრ, მაგრამ სამ თვეში ერთხელ მაინც.

44. პირველადი ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს საერთო კრებაზე ოთხი წლის ვადით არჩეული რწმუნებული, თუ წევრთა რაოდენობა არ აღემატება 50-ს ან რწმუნებულთა ბიურო სამი წევრის შემადგენლობით, თუ წევრთა რაოდენობა 50-ზე მეტია.

45. რეგიონალური (დარგობრივი) კავშირები და კოლექტიური წევრები კონფერენციაზე (საერთო კრებაზე) ირჩევენ საბჭოს თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით. საბჭოს წევრებს ირჩევენ თავმჯდომარის წარდგინებით, ღია კენჭისყრით.

46. რეგიონალური (დარგობრივი) ორგანიზაციები და კოლექტიური წევრები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ამ წესდების საფუძველზე შემუშა-

ვებული და რესპუბლიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული საკავშირო კანონმდებლობების შესაბამისად.

47. თუ პრეზიდიუმის ან საბჭოს რომელიმე წევრი სხვადასხვა მიზეზის გამო კავშირიდან გავიდა საარჩევნო ვადის დამთავრებამდე, ეწყობა დამატებითი არჩევნები, რომლის წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს კავშირის საბჭო.

48. საარჩევნო ვადის დამთავრებამდე პრეზიდენტის კავშირიდან გასვლის ან გადაყენების შემთხვევაში მას ცვლის ვიცე-პრეზიდენტი.

IV. კავშირის იურიდიული და ეკონომიკური უფლებები

49. საქართველოს მშენებელთა კავშირი წარმოადგენს იურიდიულ პირს და სარგებლობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით. აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი ემბლემითა და წარწერით — „საქართველოს მშენებელთა კავშირი“ და ანგარიში რეგიონალურ ბანკში.

50. კავშირის რეგიონალურ, დარგობრივ ორგანიზაციებს (კოლექტიურ წევრებს) რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭებათ იურიდიული პირის უფლებები, რეგისტრაციას გადიან და ხსნიან ანგარიშს ბანკში საერთო წესის საფუძველზე.

51. კავშირის ფინანსური სახსრებია:

ა) ინდივიდუალური და კოლექტიური წევრის პირველი შესატანი და საწევრო გადასახადი.

ბ) საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობის შემოსავალი.

გ) საგადასახადო ანარიცხები კავშირთან არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შემოსავლიდან.

დ) სსრ კავშირის, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანები.

52. მშენებელთა კავშირი და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები გარდა იმ ორგანიზაციებისა, რომლებზეც ვრცელდება კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ, თავისუფალი არიან სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისაგან, ხოლო მათი საშტატო განრიგი და შესანახი ხარჯები საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

53. კავშირი მის გამგებლობაში არსებულ სახსრებს იყენებს წესდებაში დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, ღონისძიებათა დასაფინანსებლად, კავშირის წევრების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის მატერიალური და ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების გასაწევად, სხვადასხვა კულტურულ-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობის და კავშირის წევრთა სამართლებრივი დაცვის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. აწესებს კავშირის პრემიებს, სტიპენდიებს, შეღავათებს კავშირის მცირეშემოსავლიანი წევრებისათვის.

54. საქართველოს მშენებელთა კავშირს, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ახორციელებს კავშირის რესპუბლიკური საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. კავშირის რესპუბლიკური საბჭო და მისი დავალებით პლენუმი:

— ამტკიცებს შინაგანაწესს, შტატებს, საშტატო განაკვეთებს და არსებული წესის შესაბამისად სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის მუშაკებს;

— უწევს ყოველმხრივ იურიდიულ და სამართლებრივ დახმარებას კავშირის წევრებს, იცავს მათს ინტერესებს და წარმართავს სასამართლოში საქმეებს მათი სახელით.

56. კავშირის საბჭოს უფლება აქვს პლენუმის გადაწყვეტილებით უნდობლობა (ბოიკოტი) გამოუცხადოს კავშირის პასიურ წევრს, აგრეთვე სახელმწიფო საკანონმდებლო, განმკარგულებელ და ნორმების დამდგენ ორგანიზაციას (პიროვნებას), რომელთა მოქმედება ზიანს აყენებს დარგის ან ეროვნულ ინტერესებს.

57. კავშირი იქმნება წინასწარ განუსაზღვრელი ვადით და შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს ყრილობის გადაწყვეტილებით. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი საშუალებანი გადაეცემა ან გაიყიდება ყრილობის გადაწყვეტილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

114 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი თანდართული დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 16 ნოემბერი, № 549

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 16 ნოემბრის № 1148
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილებას ქმნის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილება არის დამოუკიდებელი ფუნქციური ორგანო და თავისი საქმიანობით უშუალოდ ექვემდებარება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილება:

— კოორდინაციას უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების საქმიანობას მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამუშავებს წინადადებებს მომსახურების დარგების განვითარების, მათი დისლოკაციის, რაციონალიზაციისა და სრულყოფის, ობიექტების მუშაობის რეჟიმის რეგულირების მიზნით;

— მონაწილეობს ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საკითხებში;

— კონტროლს უწევს ქალაქის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოთაცხოვრებო მომსახურების დარგების განვითარების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების შესრულებას.

— ამუშავებს ქალაქის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მართვის სტრუქტურის სრულყოფის რეკომენდაციებს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით. კოორდინაციას უწევს ამ დარგებში ვაჭრობის კომპლექსური რაციონალიზაციის პროგრამის დამუშავებასა და შესრულებას;

— ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საბინაოკომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბრძანებებით და ნორმატიული დოკუმენტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილება:

— საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და უწყებების შესაბამის სამსახურებთან ერთად ატარებს ღონისძიებებს ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად;

— აწესებს კონტროლს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების შესრულებისადმი;

— ახორციელებს ღონისძიებებს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, ძირითადი ფონდების, კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანი გამოყენების, ქსელის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის.

III. საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების გამგე.

5. განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რაც მტკიცდება საქალაქო საბჭოს სესიის მიერ.

6. განყოფილების გამგეს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება განყოფილების ამოცანების ფუნქციების შესრულებისათვის, იგი განსაზღვრავს თავისი მუშაკების შრომითი საქმიანობის განაწესს და აწესებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

7. განყოფილების საშტატო განრიგს და მისი შენახვის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

8. განყოფილების აპარატის შენახვა ხორციელდება ქალაქის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების ანარიცხების ხარჯზე.

9. განყოფილების მომსახურება აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხებში ევალება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ცენტრალურ ბუღალტერიას.

IV. უფლება-მოვალეობანი

10. ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის განყოფილება:

— მონაწილეობს ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის განვითარების, პერსპექტიული გეგმებისა და ბიმართულებების განსაზღვრაში;

— ხელმძღვანელობს ქალაქში ქსელის დისლოკაციის სრულყოფისა და მისი რაციონალური სპეციალიზაციისა და ობიექტების სამუშაო რეჟიმების მოწესრიგების საკითხებს;

— კონტროლს აწესებს და ამზადებს წინადადებებს ქალაქში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფილის შეცვლისა და დაქვემდებარების საკითხებისადმი მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— ამზადებს წინადადებებს ქალაქში დეფიციტური საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

— თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამის სამსახურებთან ერთად ამუშავებს და ამზადებს წინადადებებს საბინაო მშენებლობიდან დადგენილი ნორმატივების ფარგლებში ანარიცხების რაციონალური გამოყენებისა და ახალმშენებარე რაიონებში ან გამოთავისუფლებულ არასაცხოვრებელ ფართობში ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების განთავსების საკითხებზე;

— მონაწილეობს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ტექნოლოგიის სრულყოფის წინადადებების მომზადებაში, ახალი და სარეკონსტრუქციო ობიექტების პროექტების განხილვაში და ამზადებს დასკვნებს სავაჭრო (მომსახურების) პროცესის ტექნოლოგიურ ნაწილში; აწესებს კონტროლს მისი დაცვისადმი;

— ამზადებს წინადადებებს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების არასტანდარტული მოწყობილობით აღჭურვისათვის;

— კოორდინაციას უწევს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის ურთიერთობას საბითუმო რგოლებსა და სამრეწველო საწარმოებთან;

— შესაბამის სამინისტროებსა, უწყებებსა და საქალაქო სამსახურებთან ერთად კოორდინაციას უწევს ქალაქის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ მომსახურების პროგრესული მეთოდებისა და ფორმების, აგრეთვე რეკლამის თანამედროვე, ეფექტიანი საშუალებების ფართოდ დანერგვას;

— ამუშავებს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად უდგენს სათანადო წესით შეთანხმებულ წინადადებებს ქალაქის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე სხვადასხვა საწარმო-ორგანიზაციის საქმიანობის სფეროსა და სამოქმედო ზონების განსაზღვრის შესახებ;

— იხილავს მოსახლეობის წინადადებებს, საჩივრებსა და განცხადებებს განყოფილების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გამო, ახდენს — საჭიროებისა დროულ და საქმიან რეაგირებას, იღებს ზომებს მშრომელთა საჩივრების წარმომშობი პირობების აღსაკვეთად.

---

115 სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთას“ წესდების რეგისტრაციისა შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთას“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 22 ნოემბერი, № 554

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 22 ნოემბრის № 554
დადგენილებით

I. ზოგადი დებულებანი

1. სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „სავანეთა“ წარმოადგენს ნებაყოფლობით თვითმმართველ საზოგადოებრივ საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და მოცემული წესდების თანახმად.

2. „სავანეთა“ თავის საქმიანობაში იზიდავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს და მათი მატერიალური შესაძლებლობისა და შემოქმედებითი უნარის გონივრული გამოყენებით ხელს უწყობს საქართველოში საქველმოქმედო მოძრაობის აღორძინებას.

3. „სავანეთას“ წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, სურვილი აქვს მოწოდებისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს „სავანეთას“ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში და აღიარებს „სავანეთას“ წესდებას.

— „სავანეთას“ მოზარდთა გაერთიანება წევრად მოიზიდავს მოსწავლეებს 14 წლის ასაკიდან;

— „სავანეთას“ წევრად ითვლებიან ის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები, კოოპერატივები და მეურნეობები, რომლებიც ფაქტიურად მონაწილეობენ „სავანეთას“ მუშაობაში.

4. „სავანეთა“ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის.

5. „სავანეთას“ გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა ანგარიშები ბანკში, ტელექსი და მრგვალი ბეჭედი, შტამპი და ბლანკი „სავანეთას“ სახელწოდებითა და ემბლემით.

II. „სავანეთას“ ძირითადი ამოცანები

„სავანეთას“ ძირითადი ამოცანებია:

1. მეურვეობდეს ობოლ და უპატრონო ბავშვებს, ზრუნავდეს მათზე.

იყოს დაზარალებულ-დავრდომილთა, უპატრონოთა და მარტოხელა მოხუცთა, დედათა, ინვალიდთა, ობოლთა, მსჯავრდებულთა (საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის VIII კარის შესაბამისად), სასჯელმოხდილთა თანამდგომი, უწევდეს მათ მორალურ, მატერიალურ, სამართლებრივ და სხვა სახის დახმარებას.

აზიაროს ბავშვები, მოზარდები და ახალგაზრდობა კაცობრიობის სულიერ ფასეულობებს, ქართული და მსოფლიო კულტურის შედევრებს, ჩაუნერგოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მაღალი ადამიანური თვისებები საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის, გაუღვივოს საუკეთესო ადამიანური თვისებები, განუვითაროს ორგანიზატორული ჩვევები და ინიციატივა.

დაამკვიდროს ადამიანთა შორის ურთიერთობის კულტურა ჰუმანიზმის, თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე.

გამოავლინოს ნიჭიერი ადამიანები და მხარი დაუჭიროს მათს შემოქმედებითს ზრდას, საჭიროების შემთხვევაში გაგზავნოს ისინი „სავანეთას“ ხარჯზე საბჭოთა და უცხოეთის სასწავლებლებში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

2. დაამყაროს და განამტკიცოს კავშირი საბჭოთა და უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

III. „სავანეთას“ საქმიანობის ძირითადი შინაარსი

1. დასახული ამოცანების განსახორციელებლად „სავანეთა“:

— ღებულობს ნებაყოფლობითს შემოწირულებებს საბჭოთა და უცხოელ მოქალაქეთაგან, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციებისაგან, დაწესებულებებისა და საწარმოებისაგან. შემოწირულებათა სახით შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი, მათ შორის ფულადი, ქონება საქართველოდან, სსრ კავშირიდან და უცხოეთიდან;

— მართავს საქველმოქმედო ბაზრობებს და აუქციონებს არსებული წესის თანახმად სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. დაწესებულებებსა და საწარმოებთან ერთად, აგრეთვე დამოუკიდებლად აწყობს შემოქმედებითს საღამოებს, ლექციებს, გამოფენა-გაყიდვებს, ფესტივალებს, კონკურსებს, დათვალიერებებსა და ფილმების დემონსტრაციას საქართველოში, სსრ კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში;

— მომსახურებას უწევს თავისი მოღვაწეობის ფარგლებში მოქალაქეებს, რომლებიც შემწეობას საჭიროებენ;

— აწესებს სპეციალურ პრემიებსა და სტიპენდიებს;

— მონაწილეობს მიზნობრივი სოციალური პროგრამებისა და საქველმოქმედო პროექტების განხორციელებაში;

— ეწევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ამ წესდების ფარგლებში საგამომცემლო, სარეკლამო და სხვა ბეჭდვით საქმიანობას, გამოსცემს ბიულეტენს.

2. დასახული ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად „სავანეთა“ მოქმედი წესის შესაბამისად ორგანიზაციას უწევს, ქმნის და აწყობს:

— კინო-თეატრალურ და მუსიკალურ სტუდიებს;

— ბიბლიოთეკებს სამკითხველო დარბაზებით, ბუკინისტური მაღაზიით, გასამრავლებელი აპარატურით, საამკინძაო სახელოსნოთი და მთარგმნელთა ბიუროთი;

— კინო-ვიდეოაპარატურით აღჭურვილ საკონფერენციო დარბაზს ლექციების ციკლის წასაკითხავად და დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხატვრული ფილმების საჩვენებლად მეცნიერების, რელიგიისა და ხელოვნების საკითხებზე;

— სადისკუსიო კლუბებს სხვადასხვა ეროვნებისა და განსხვავებული პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის პროგრესული მოღვაწეების შეხვედრების მოსაწყობად;

— ნიჭიერ ბავშვთა და მოზარდთა ხელოვნების სკოლა-სტუდიას;

— უფასო საქველმოქმედო თავშესაფარს და სასადილოს, დამხმარე მეურნეობას;

— სპეციალურ ჯგუფს სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად სტიქიური უბედურებით დაზარალებულთათვის;

— „ინტერკლუბს" საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ანალოგიურ ცენტრებთან მუდმივი და მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, აგრეთვე თანამშრომლობს ინტურისტთან „სავანეთას" საქმიანობის ფარგლებში;

— ფსიქოლოგთა გაერთიანება „ნდობას";

— იურიდიული დახმარების სამსახურს;

— ხალხური, აღმოსავლური მედიცინისა და მკურნალობის არატრადიციული მეთოდების შესწავლა-გავრცელების ცენტრს;

— მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბს;

— მებაღეობის, მეყვავილეობის, მემცენარეობის მოყვარულთა კლუბს;

— პროპაგანდის ბიუროს;

— კომპიუტერული და სათამაშო ავტომატების კლასს;

— ქართული და აღმოსავლური სახეების თამაშების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს;

— „სავანეთას" ამოცანების შესაბამის სხვა სტრუქტურებს.

3. „სავანეთა" სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, შემოწირულებათა და კომერციული საქმიანობის ხარჯზე, ინახავს მართვის აპარატს, ქმნის წარმოებისა და სოციალური განვითარების ფონდებს, აწარმოებს შრომის ანაზღაურებას და ახორციელებს სხვა აქციებს.

4. „სავანეთა" ურთიერთობას ამყარებს დაწესებულებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებთან სახელშეკრულებო საფუძველზე.

5. „სავანეთას" უფლება აქვს დაამყაროს უცხოელ პარტნიორებთან პროგრესული ფორმის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა სავალუტო თვითშესყიდვისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IV. ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა

1. „სავანეთას" მმართველობის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც იწვევა 6 წელიწადში ერთხელ. ყრილობა ირჩევს ცენტრალურ საბჭოს.

2. „სავანეთას" სათავეში უდგას პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს ყრილობა პირდაპირი ღია კენჭისყრით; პრეზიდენტი წარმართავს „სავანეთას" საერთო საქმიანობას.

4. საბჭო ხელმძღვანელობს საზოგადოების შემოქმედებითსა [illegible] ორგანიზაციო პროცესებს, განიხილავს მის პერსპექტივებს, ამტკიცებს სამუშაო პროგრამას და ბიუჯეტს, კოორდინაციას უწევს საქმიანობას, განიხილავს თანამშრომელთა მიღებისა და განთავისუფლების საკითხებს.

5. პრეზიდენტის რეკომენდაციით საბჭო ამტკიცებს ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც ხელმძღვანელობს „სავანეთას“ ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობას, წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და საწარმოში.

ვიცე-პრეზიდენტი „სავანეთას“ საბჭოსა და პრეზიდენტთან შეთანხმებით აყალიბებს მართვის საშტატო აპარატს საორგანიზაციო, სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის წარსამართავად.

6. „სავანეთა“ თავისი საქმიანობის გასაშლელად ქმნის ორგანიზაციებს რეგიონებში, რაიონებსა და ქალაქებში.

V. „სავანეთას“ წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. „სავანეთას“ წევრი უფლებამოსილია:

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს საბჭოს წევრად, აგრეთვე სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში;

— დასვას საბჭოს წინაშე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის საკითხი;

— წამოაყენოს წინადადება „სავანეთას“ მუშაობის გაუმჯობესების თ ო ბაზე;

„სავანეთას“ წევრს აქვს პირადობის მოწმობა ფოტოსურათით;

— „სავანეთას“ წევრი სარგებლობს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

2. „სავანეთას“ წევრი ვალდებულია:

— დაიცვას საზოგადოების წესდება;

— შეასრულოს საბჭოს გადაწყვეტილება;

— გაუფრთხილდეს „სავანეთას“ საკუთრებას;

— ღირსეულად ემსახუროს „სავანეთას“ უზენაეს მისიას.

VI. „სავანეთას“ სახსრების წყაროები და მათი გამოყენების წესი

1. „სავანეთას“ სახსრები და ქონება ფორმირდება:

— სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, მეურნეობებისა და ცალკეულ პირთა შემოწირულებებისაგან. „სავანეთას“ შეუძლია მიიღოს საქველმოქმედო საქმიანობისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულებების, კოოპერატივების და კოლმეურნეობების სოციალური განვითარების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები;

— „სავანეთას“ კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლისაგან.

2. „სავანეთა“ ფლობს საკუთრებას, აქვს მიწის იჯარით აღებისა და ნებისმიერი ქონების შეძენის უფლება. შეუძლია შეისყიდოს ან იჯარით აიღოს

შენობები, სათავსები, წარმოების საშუალებანი, აგრეთვე აპარატურა და ტექნიკა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, ასევე ცალკეულ პირთაგან ხელშეკრულების საფუძველზე.

3. „სავანეთას“ სახსრებსა და საკუთრებას განაგებს საბჭო.

4. „სავანეთას“ ყველა სახის ფულადი შემოსავალი და ფინანსური რესურსები თავს იყრის მის საანგარიშსწორებო ანგარიშზე.

5. „სავანეთა“ თავის საკუთარ სახსრებს, მათი წყაროს მიუხედავად, იყენებს თავის შეხედულებისამებრ, შემოქმედებითი, წარმოებრივი და სოციალური განვითარებისათვის.

6. „სავანეთას“ შეუძლია ისარგებლოს ბანკის, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობათა კრედიტებით.

7. „სავანეთას“ შემოსავალი იქმნება რეალიზებული პროდუქციის მონაგებით, შესრულებული სამუშაოს ხარჯზე, სხვა სახის საქმიანობით მიღებული მოგებისაგან და ნაწილდება:

— მატერიალური და მასთან გათანაბრებული დანახარჯების ასანაზღაურებლად;

— სხვა ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის თანხების გადასარიცხავად სახელშეკრულებო ვალდებულებათა საფუძველზე;

— კრედიტის პროცენტებისა და იჯარის გადასახადისათვის;

— „სავანეთას“ ფონდისა და რეზერვის შესაქმნელად, რომელიც გამოიყენება შემოქმედებითი, საწარმოო საქმიანობის გაფართოებისათვის, სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებათა განხორციელებისა და შრომის ანაზღაურებისათვის.

8. „სავანეთა“ ირჩევს და მისი საბჭო ამტკიცებს ფონდებისა და რეზერვების გამოყენების ფორმას, ოდენობასა და რიგს. სახელმწიფო ორგანოები „სავანეთას“ არ უწესებენ ფონდების წარმოქმნის ნორმატივებს.

9. „სავანეთა“ მის მიერ დაარსებული განყოფილებებითა და საწარმოებითურთ განთავისუფლებულია სამეურნეო და კომერციული საქმიანობით მიღებული მოგებიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში საშემოსავლო და სხვა გადასახადისაგან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი შემოსავლებისა და სახსრების ნაწილში, ხოლო მისადმი დაქვემდებარებული კოოპერაციულ საწყისებზე შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები ბიუჯეტთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობენ „სსრ კავშირის კოოპერაციის შესახებ“ კანონის მოთხოვნებით.

VII. შტატები, შრომა და მისი ანაზღაურება

1. „სავანეთას“ საბჭო დამოუკიდებლად განსაზღვრავს საშტატო განაწესს და ხელფასებს მუშაკთათვის, რასაც შემდეგ ამტკიცებს ვიცე-პრეზიდენტი.

2. „სავანეთა“ მოქალაქეებს სამუშაოდ იღებს ინდივიდუალური, საოჯახო, კოლექტიური და იჯარის წესით, აგრეთვე საზოგადოებრივ საწარმოებში.

3. შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირება ხორციელდება შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში საბოლოო შედეგისა და ფონდის შექმნაში თითოეულის წვლილის მიხედვით.

4. შრომის ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად ხელფასისა და აგრეთვე პრემიების სახით. პრემიის ზომას განსაზღვრავს საბჭო.

VIII. მომარაგება, პროდუქციის რეალიზაცია და ფასები

1. „სავანეთას“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსებით შეიძლება განხორციელდეს დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოო საშუალებათა საბითუმო ვაჭრობის სისტემის საშუალებით.

2. „სავანეთას“ უფლება აქვს შეისყიდოს მისი საქმიანობისათვის საჭირო სასურსათო და სამრეწველო საქონელი, ნედლეული, მასალა, ნახევარფაბრიკატები, საწარმოო ნარჩენები, საკომპლექტებელი ნაწარმი:

— სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანიზაციებისა და სხვა უწყებებისაგან საწარმოო საშუალებათა საბითუმო და წვრილსაბითუმო ვაჭრობის წესით;

— საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოებისაგან, სამეცნიერო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, არალიკვიდური და ზენორმატიული მატერიალური რესურსების მოთხოვნათა გადანაწილების წესით;

— ნაღდი ანგარიშსწორების წესით და უშუალოდ მოსახლეობისაგან სახელშეკრულებო ფასებით მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

3. „სავანეთას“ უფლება აქვს შეუკვეთოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს მისი შემოქმედებითი და საწარმოო პროგრამების შესრულებისათვის აუცილებელი პროდუქცია და მომსახურება, ამასთან „სავანეთას“ შეკვეთით დამზადებული პროდუქცია შედის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების გეგმის შესრულებაში.

4. „სავანეთას“ კუთვნილი პროდუქციის, მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა და მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და „სავანეთას“ საბჭოს მიერ ერთობლივად დადგენილი ფასების საფუძველზე.

IX. კონტროლი, საქმიანობის შემოწმება და რევიზია

1. „სავანეთას“ მუშაობის კონტროლს, შემოწმებასა და რევიზიას ახორციელებს სარევიზიო კომისია, სარევიზიო კომისიას 6 წლით ირჩევს და ამტკიცებს „სავანეთას“ ყრილობა იმ პირთაგან, რომელნიც შედიან საბჭოს შემადგენლობაში, არ აკისრიათ მატერიალური პასუხისმგებლობა, და შემომწირველებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „სავანეთას“ საფინანსო რევიზია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

X. „სავანეთას“ მოქმედების შეწყვეტის წესი

„სავანეთას“ რეორგანიზაცია ან მისი საქმიანობის შეწყვეტა ხდება ყრილობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით. „სავანეთას“ გაუქმების შემთხვევაში დარჩენილი საკუთრება გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.

XI. „სავანეთას“ წესდების მიღება, რეორგანიზაცია და დამტკიცება

1. „სავანეთას“ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული წესდება ერთი თვის ვადაში წარედგინება სარეგისტრაციოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. „სავანეთას“ წესდებაში შემდგომი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამავე წესით.

116 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის თანდართული დებულება და სტრუქტურა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 24 ნოემბერი, № 557

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 24 ნოემბრის № 557
დადგენილებით

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი (შემდგომ — „ინსტიტუტი") ჩამოყალიბდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 831 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 დეკემბრის № 596 დადგენილების თანახმად ინსტიტუტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაშია.

2. თავის საქმიანობას ინსტიტუტი წარმართავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობების, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის სასწავლო დაწესებულებათა (ქვედანაყოფების) ტიპობრივი დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1988 წლის 23 დეკემბრის № 544/649/12-7 დადგენილებით, სხვა ნორმატიული აქტებით, წინამდებარე წესდებით.

3. ინსტიტუტის ძირითადი ამოცანებია:

— დააკმაყოფილოს სამინისტროების, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებანი ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გადასამზადებლად, აგრეთვე მოამზადოს ხელმძღვანელი კადრების რეზერვი სახალხო მეურნეობის მართვის სფეროსათვის;

— გამოუმუშაოს ხელმძღვანელ მუშაკებს შრომითი კოლექტივების მართვის უნარი და ჩვევები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციის პირობებში;

— უზრუნველყოს, რომ მსმენელები აქტიურად დაეუფლონ მეურნეობრიობის უახლეს მეთოდებს, ღრმად შეისწავლოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნასთან, ძირითადი საწარმოო რგოლების, დარგებისა და რეგიონების გადასვლასთან სამეურნეო ანგარიშსწორებასა და თვითდაფინანსებაზე, რაც ხორციელდება: სისტემატუ-

რი ანალიზის, სოციოლოგიის, სამართლის, მარკეტინგის, ფინანსების სფეროში მომზადების მნიშვნელოვანი გაფართოების გზით. სწავლების ინტენსიფიკაციური მეთოდების ფართო გამოყენებით, როგორიც არის საქმიანი თამაშები, კონკრეტულ სიტუაციათა გარჩევა, რეზერვების კოლექტიური ძიება, დისკუსიები, სემინარები და გამოცდილების გაზიარების სკოლები, გასვლითი მეცადინეობების ჩატარების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფით, ხელმძღვანელ მუშაკთა სწავლების ინდივიდუალიზაციის პრაქტიკის განვითარებით, მათ შორის იმ კონკრეტულ დავალებათა საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელების მიერ;

— განუვითაროს მსმენელებს ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების უნარი და ჩვევები მუშაობის პროცესში პრაქტიკულ ამოცანათა გადასაჭრელად;

— განახორციელოს მეცნიერული კვლევა ისეთი აქტუალური, ფუნდამენტური და საძიებო-გამოყენებითი პრობლემების დამუშავებისას, როგორიც არის ეკონომიკის მართვის, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემისა და თეორიის სრულყოფის, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდოლოგიის გარდაქმნის საკითხები;

— ჩაატაროს სასწავლო მეცადინეობები საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელებთან;

— დახმარება აღმოუჩინოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს კონსულტაციების სახით მართვის თეორიისა და პრაქტიკის საკითხზე;

— კომპლექსურად შეაფასოს მსმენელთა პროფესიული და ეკონომიკური განათლება, საქმიანი თვისებები მათი სწავლების შედეგების მიხედვით და ამის საფუძველზე შეიმუშაოს რეკომენდაციები სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთათვის, მუშაკთა გამოსაყენებლად შესაფერის თანამდებობებზე;

— აამაღლოს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაცია, მათი იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიური, სპეციალური და კულტურული დონე.

4. ინსტიტუტი ამუშავებს ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური სისტემის შემდგომი სრულყოფის წინადადებებს და აფასებს მათი ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა მეცნიერი მუშაკები, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი

5. ინსტიტუტში დადგენილია პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, მეცნიერი მუშაკებისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შემდეგი საშტატო თანამდებობანი: კათედრის გამგე, პროფესორი, დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, ასისტენტი, ლაბორატორიის გამგე, სექტორის გამგე, მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერი მუშაკი, წამყვანი მეცნიერი მუშაკი, უფროსი მეცნიერი მუშაკი, მეცნიერი მუშაკი, უმცროსი მეცნიერი მუშაკი, უფროსი ლაბორანტი.

6. თანამდებობათა დაკავების, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და მეცნიერი თანამშრომლების ატესტაციის, აგრეთვე მათი დათხოვნის წესი დგინდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

7. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საერთო რაოდენობიდან მუშაკთა დათხოვნა სამუშაოს მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით წარმოებს დადგენილი წესით.

8. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟი განისაზღვრება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელთათვის დადგენილი წესის მიხედვით.

სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც მიღებული არიან პედაგოგიურ სამუშაოზე, ხელმძღვანელ თანამდებობებსა და წამყვან სპეციალისტებად, მუშაობის დრო რექტორის ნებართვით ეთვლებათ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟად.

9. სასწავლო პროცესს ინსტიტუტში ახორციელებენ შტატის მასწავლებლები, წამყვანი მეცნიერები, ცნობილი სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც მოწვეული არიან შეთავსებითა და საათობრივი ანაზღაურებით.

10. მასწავლებლებსა და მეცნიერ-მუშაკებს უფლება აქვთ იმუშაონ შეთავსებით, არსებული წესის შესაბამისად.

11. ინსტიტუტის პედაგოგებსა და მეცნიერ მუშაკებს უფლება აქვთ:

— შეიმუშაონ და დააყენონ წინადადებანი სასწავლო, სამეცნიერო-მეთოდური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის თაობაზე;

— მონაწილეობდნენ ინსტიტუტის საქმიანობის განხილვაში სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე;

— სარგებლობდნენ ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, სამკითხველო დარბაზით და სხვა სასწავლო-დამხმარე ქვედანაყოფებით;

— მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში, დადგენილი წესით.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს უფლება აქვთ:

— გასწიონ სამეცნიერო მუშაობა შეთავსების საწყისებზე დადგენილი წესის შესაბამისად;

— განახორციელონ სახელშეკრულებო საფუძველზე საწარმოებსა და ორგანიზაციებში კადრების მოკლევადიანი სწავლება ძირითადი სამუშაო ადგილიდან ნებართვის მიუღებლად (გაუფორმებლად).

12. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ მუშაკები ვალდებული არიან:

— სისტემატურად იმაღლებდნენ იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს და სრულყოფდნენ თეორიულ ცოდნას;

— ეწეოდნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, მონაწილეობდნენ კვლევის შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვის საქმიანობაში, აქტიურად ეყენებდნენ მიღებულ შედეგებს სასწავლო პროცესში;

— რეგულარულად სწავლობდნენ, განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

— ეხმარებოდნენ მსმენელებს დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციაში;

— წარმართავდნენ სასწავლო-აღმზრდელობით და მეთოდურ მუშაობას მაღალ იდეურ-პოლიტიკურ, პროფესიულ და მეცნიერულ დონეზე.

13. ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სასწავლო-დამხმარე პერსონალის ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშვნა-განწესება ხდება რექტორის ბრძანებით.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სასწავლო-დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ინსტიტუტის შინაგანაწესით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

ინსტიტუტის მსმენელები

14. ინსტიტუტის მსმენელებად ჩაირიცხებიან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროს უმაღლესი ხელმძღვანელი კადრები:

— საქართველოს სსრ, საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების მოადგილეები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები, მთავარ სამმართველოთა უფროსების მოადგილეები და მათი რეზერვი;

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეების მოადგილეები, რეფერენტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სექტორების გამგეები, რეფერენტები და მათი რეზერვი;

— საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ სამმართველოთა, აგრეთვე სამმართველოთა უფროსები და მათი მოადგილეები, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, მთავარ სამმართველოთა განყოფილებების გამგეები და მათი რეზერვი;

— ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები, აღმასკომების საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები, სამმართველოთა და განყოფილებათა გამგეები და მათი რეზერვი;

— რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მსხვილ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და რეზერვი;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელმძღვანელ მუშაკთა სხვა კატეგორიები — რესპუბლიკის უსაფრთხოების რექტივო ორგანოებთან შეთანხმებით;

— ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის მასწავლებლები;

15. მსმენელთა ჩარიცხვას ახორციელებს ინსტიტუტის რექტორი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 831 დადგენილებით მიღებული განაწესის შესაბამისად.

16. ინსტიტუტის მსმენელთა ჯგუფების დაკომპლექტება ხდება მათი სპეციალობისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით.

17. დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად ინსტიტუტის მსმენელებს შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება სამინისტროებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საზღვარგარეთ.

18. მსმენელთა ცოდნის დონეს აფასებს სახელმწიფო საგამოცდო კომისია გამოსაშვები ნაშრომების დაცვისას.

19. მსმენელებს, რომლებიც სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, ეძლევათ მოწმობა (მომზადებისა და გადამზადებისას დიპლომი).

20. სასწავლო გეგმის შეუსრულებლობის, აგრეთვე შინაგანაწესის უხეში დარღვევის შემთხვევაში, მსმენელი რექტორის ბრძანებით გაირიცხება ინსტიტუტიდან და მიეცემა შესაბამისი ცნობა.

21. სწავლის პერიოდში მსმენელები უზრუნველყოფილი არიან სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლით. მსმენელებს, რომლებსაც ინსტიტუტი ვერ უზრუნველყოფს საერთო საცხოვრებლით, სასტუმროში ცხოვრების ხარჯები აუნაზღაურდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 მარტის № 351 დადგენილებით დაწესებული პირობის მიხედვით.

22. მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლად გამგზავრებისა და უკან დაბრუნების ხარჯებს, აგრეთვე სასტუმროსა და სამივლინებო ხარჯებს მსმენელებს აუნაზღაურებენ სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა

23. ინსტიტუტში სწავლება მიმდინარეობს სამუშაოდან მოწყვეტით, მოუწყვეტლივ და ნაწილობრივი მოწყვეტით.

24. სწავლება წარმოებს სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, დადგენილი წესის მიხედვით.

25. მსმენელთა ცოდნა, უნარი და ჩვევები მოწმდება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. შემოწმების შედეგების საფუძველზე ხდება სასწავლო-თემატიკური გეგმების კორექტირება, მსმენელებთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმების დადგენა.

26. ინსტიტუტში შემოღებულია სასწავლო მეცადინეობათა ძირითადი სახეები: ლექციები, პრაქტიკული, სემინარული, გასვლითი მეცადინეობები, საქმიანი თამაშები, საუბრები მრგვალ მაგიდასთან, სტაჟირება, გამოსაშვები მუშაობა, კონსულტაციები, მსმენელთა დამოუკიდებელი მუშაობა და სხვა.

27. სასწავლო მეცადინეობები ტარდება ცხრილის მიხედვით, ყოველ სამუშაო დღეს, შაბათის გარდა, დღეში 8 აკადემიური საათის ხანგრძლივობით.

28. სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის პედაგოგიური დაოსტატების სრულყოფის, სასწავლო პროცესში სწავლების აქტიური მეთოდების, გამოთვლითი ტექნიკისა და სწავლების სხვა თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მიზნით ინსტიტუტში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

29. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

— ეფექტიანად გამოიყენოს ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალი სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად;

— აამაღლოს მსმენელთა სწავლების ხარისხი სასწავლო პროცესში მეცნიერულ კვლევათა შედეგების აქტიური გამოყენების გზით;

— აამაღლოს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაცია;

— ორგანიზაცია გაუწიოს მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვას;

— გადაწყვიტოს რესპუბლიკაში ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების აქტუალური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და სხვა პრობლემები.

30. სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ინსტიტუტი ეწევა უმაღლესი სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად.

31. ინსტიტუტში მეცნიერულ მუშაობას ეწევიან ინსტიტუტის სოციალური მართვის ცენტრი, სამეურნეო მექანიზმის სისტემურ კვლევათა პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების ლაბორატორიები და სექტორები, კათედრები.

ინსტიტუტის უფლება-მოვალეობანი

32. ინსტიტუტი დადგენილი წესის მიხედვით:

— ამუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს;

— ამუშავებს და ამტკიცებს სასწავლო თემატურ გეგმებს;

— გამოსცემს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, მეთოდურ მითითებებსა და სხვა სასწავლო-მეთოდურ დოკუმენტაციას, ლექციათა კონსპექტებს და სასწავლო დამხმარე ლიტერატურას;

— აწარმოებს გამოცემული სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლას და თანამშრომლობს სხვა სასწავლო დაწესებულებებთან, საწარმოო გაერთიანებებთან, წარმოებებთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან;

— მართავს სამეცნიერო და მეთოდურ კონფერენციებს, სემინარებს, თათბირებს;

— უშუალო კავშირს ამყარებს საზღვარგარეთის პარტნიორებთან;

— ძირითად მეცნიერულ მიმართულებებს, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიან და წლიურ გეგმებს ამტკიცებს ინსტიტუტის რექტორი.

33. შრომისა და ხელფასის სფეროში ინსტიტუტს უფლება აქვს:

— დაამტკიცოს მუშაკთა საერთო რაოდენობა და შტატები ზემდგომი მმართველობის ორგანოს მიერ დადგენილი რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— დაამტკიცოს და შეცვალოს, დადგენილი წესის შესაბამისად, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის თანამდებობრივი სარგოები ისე, რომ არ დაარღვიოს ხელფასის დადგენილი ფონდის ზღვარი.

ინსტიტუტის სტრუქტურა

34. ინსტიტუტის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ინსტიტუტის რექტორის წარდგინებით.

35. სოციალური მართვის ცენტრი არის ინსტიტუტის დამოუკიდებელი სასწავლოსამეცნიერო სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე ახორციელებს სასწავლო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო საქმიანობას და წარმოადგენს იურიდიულ პირს;

— სოციალური მართვის ცენტრის საქმიანობის დაფინანსების წყაროს, მათ შორის უცხოეთის ვალუტით, წარმოადგენს შემკვეთთა თანხები ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების მიხედვით, ბანკის კრედიტები, აგრეთვე ცენტრისათვის უსასყიდლოდ გადაცემული სახსრები საბჭოთა და უცხოურ ვალუტაზე.

სწავლების, კონსულტაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხარჯები ანაზღაურდება ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების შესაბამისად. მსმენელთა სწავლების საზღაურს, უცხოური ვალუტის ჩათვლით, იხდიან მსმენელის სასწავლებლად გამგზავნი უწყებები და წარმოება-დაწესებულებანი.

სოციალური მართვის ცენტრში კვალიფიკაციას იმაღლებენ: სახალხო დეპუტატები, სახალხო მეურნეობის დარგების, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები — საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საკითხებზე; პოლიტოლოგები, სახალხო დიპლომატები და სხვა.

36. კათედრა არის ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ და მეცნიერულ მუშაობას ერთი ან რამდენიმე მონათესავე დისციპლინის ფარგლებში.

37. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ქვედანაყოფებია: სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება და სამეურნეო მექანიზმის სისტემური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია მოიცავ-ს შემავალი ლაბორატორიებითა და სექტორებით.

38. სასწავლო პროგრამებს, მეთოდურ მითითებებსა და სხვა სასწავლო-მეთოდურ დოკუმენტაციას, აგრეთვე ლექციათა კონსპექტებს, დამხმარე სასწავლო ლიტერატურას, სტატიათა კრებულებსა და ა. შ. გამოსცემს სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება.

39. ინსტიტუტის სტრუქტურული ქვედანაყოფები თავის საქმიანობას ახორციელებენ უმაღლეს სასწავლებელთათვის დადგენილი მოქმედი დებულებების მიხედვით.

40. ინსტიტუტის მსმენელთა და თანამშრომელთა პოლიტიკური, იდეურ-ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის მიზნით ინსტიტუტში ფუნქციონირებს კულტურის უნივერსიტეტი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, საბჭო და რექტორატი

41. ინსტიტუტის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავენ დადგენილი წესის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ ამავე დროს იგი არის საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელი.

42. რექტორი წარმართავს და პასუხისმგებელია ინსტიტუტის საქმიანობისათვის.

43. ინსტიტუტის რექტორი სპეციალური მინდობილობის გარეშე მოქმედებს ინსტიტუტის სახელით, წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ინსტიტუტის ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, იძლევა რწმუნებებს (მათ შორის რწმუნების გადაცემის უფლებით), ხსნის ბანკებში ინსტიტუტის ანგარიშს.

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში რექტორი ინსტიტუტში სცემს ბრძანებებს და შრომის კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს მუშაკების მიღებასა და დათხოვნას.

44. ინსტიტუტის სასწავლო მუშაობას ხელმძღვანელობს პროორექტორი სასწავლო დარგში, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას — პროორექტორი სამეცნიერო დარგში, იდეოლოგიურ მუშაობას — პროორექტორი იდეოლოგიის დარგში, მსმენელთა ნაკადების დაკომპლექტებას — პროორექტორი მსმენელთა კონტინგენტის შერჩევის დარგში, ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმიანობას — პროორექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში, რომლებიც თანამდებობებზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან უმაღლეს სასწავლებელთათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

45. სასტუმროს მუშაობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს ინსტიტუტის რექტორი.

46. ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

47. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი საკითხების განსახილველად ყალიბდება ინსტიტუტის საბჭო, რომელშიც შედიან:

— რექტორი (თავმჯდომარე), პროორექტორები, ინსტიტუტის სწავლული მდივანი (საბჭოს სწავლული მდივანი), კათედრათა გამგეები, წამყვანი [illegible] ნაყოფების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (საბჭოს მთელი შემადგენლობის 50 პროცენტი);

— წარმომადგენლები პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობიდან, რომლებსაც ირჩევენ ღია კენჭისყრით პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრებებზე (საერთო შემადგენლობის 25 პროცენტი);

— სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ცნობილი მეცნიერები (საერთო შემადგენლობის 25 პროცენტი);

— საბჭო ფუნქციონირებს უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად და მის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

ისეთი საკითხების განსახილველად, რომლებიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვენ და არ შედიან საბჭოს საქმიანობის სფეროში ყალიბდება რექტორატი, რომლის შემადგენლობასა და მუშაობის წესს ამტკიცებს რექტორი.

ინსტიტუტის ქონება და სახსრები

48. ინსტიტუტი მსმენელთა სწავლებას, სხვა სახის სამუშაოებსა და მომსახურების ღონისძიებებს აფინანსებს სამინისტროების, უწყებებისა და სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებათა ცენტრალიზებული ფონდების სახსრების ხარჯზე, აგრეთვე წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდების სახსრებიდან, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სხვა ანალოგიური დანიშნულების ფონდებით, ან კადრების მომზადების მიზნობრივი ასიგნებებით.

პრობლემური კვლევის ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

49. მსმენელთა სწავლების ხარჯების ანაზღაურება ხდება რექტორის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

50. სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ურიცხავენ ინსტიტუტს სახსრებს ხელმძღვანელ მუშაკთა სწავლებისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

51. მსმენელის გამოუცხადებლობის ან ინსტიტუტიდან გარიცხვის შემთხვევაში, მისი სწავლებისათვის ჩარიცხული თანხა უკან არ ბრუნდება.

52. ინსტიტუტს, დადგენილი წესის მიხედვით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ახორციელებს საქმის წარმოებას, საბუღალტრო აღრიცხვას, ადგენს კვარტალურ, წლიურ ანგარიშებს და ბალანსებს, ანგარიშს აბარებს მმართველობის ზემდგომ ორგანოს, წარუდგენს ანგარიშსა და სხვა მონაცემებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 24 ნოემბრის № 557
დადგენილებით

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტისა

რექტორატი
ბუღალტერია
კადრების განყოფილება
სასწავლო განყოფილება
სოციალური მართვის ცენტრი
მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა
პარტიული და საბჭოთა მშენებლობის კათედრა
სახალხო მეურნეობის მართვის საფუძვლების კათედრა
სამეურნეო სამართლისა და ფსიქოლოგიის კათედრა
სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვისა და ფინანსთა კათედრა
აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის კათედრა
მართვის ავტომატიზებული სისტემების, გამოთვლითი ტექნიკისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კათედრა
სამეცნიერო-კვლევითი სექტორი
სამეურნეო მექანიზმის სისტემური კვლევის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
სამეცნიერო ბიბლიოთეკა
სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება
ოპერატიული პოლიგრაფიის ჯგუფი
სამეურნეო ნაწილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

117 იუნესკოს საქართველოს საბჭოსთან უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში უცხოეთში ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა მოღვაწეობის შედეგად უხვად დაგროვდა ეროვნული მნიშვნელობის მდიდარი მემკვიდრეობა.

უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეგროვების, მეცნიერული შესწავლისა და ხალხის კულტურული განვითარების სამსახურში ჩაყენების, აგრეთვე მათი საავტორო და პირადი უფლებების ყოველმხრივი დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას იუნესკოს საქართველოს საბჭოსთან უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის თვითმმართველობითი არაკომერციული ფონდი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

— იუნესკოს საქართველოს საბჭოსთან უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდს აქვს საკუთარი ბალანსი, საკუთარი მიმდინარე და სავალუტო ანგარიში ბანკში;

— ფონდის წესდებას და მისი გამგეობის შემადგენლობას ამტკიცებს იუნესკოს საქართველოს საბჭო, რომელიც არსებობს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან;

— ფონდის შტატსა და ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს ფონდის გამგეობა იუნესკოს საქართველოს საბჭოსთან შეთანხმებით.

3. ნება დაერთოს ფონდს შექმნას საკუთარი საგამომცემლო საბჭო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით სხვადასხვა საწარმოები (მათ შორის ერთობლივი უცხოეთის ქვეყნებთან, იმ პირობით, რომ მოგების არანაკლებ 50 პროცენტისა ჩაერიცხება ფონდს).

4. რეკომენდაცია გაეწიოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, ერთობლივ საწარმოებს და კოოპერატივებს უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდს ჩაურიცხონ მოგების, მათ შორის სავალუტო მოგების ნაწილი.

5. გამოეყოს უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდს 50.000 მანეთი როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთდროული შენატანი.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმა სამეურნეო სამმართველომ აღმოუჩინონ ფონდს დახმარება შესაბამისი ფართობის გამოყოფაში, ტელეფონების დადგმასა და მსუბუქი ავტომობილის შეძენაში.

7. „საქინფორმმა“ და საქსახტელერადიომ გასწიონ ფონდის მოღვაწეობის ფართო პროპაგანდა.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირების საქართველოს საზოგადოება, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირების საზოგადოება გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდს გაუწევენ სისტემატურ დახმარებას და მეურვეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. პაიჭაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 ნოემბერი, № 569

118 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 817 დადგენილების შესახებ

„საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებიდან გადაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 817 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 817 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 ოქტომბრის № 940 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“ პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 ოქტომბრის № 722 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 4 დეკემბერი, № 584

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

119 სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების წესის სრულყოფის შესახებ

საზღვარგარეთ მივლინებათა ეფექტიანობის ამაღლების, საზღვარგარეთ დელეგაციათა და სპეციალისტთა გაგზავნის წესის სრულყოფისა და გამარტივების, მიმავლინებელ ორგანიზაციათა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, „სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების წესის სრულყოფის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 16 აგვისტოს № 661 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ხანმოკლე და ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით დელეგაციათა და სპეციალისტთა გასამგზავრებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება ენიჭებათ:

— აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს;

— აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს;

— რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს;

— ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს;

— რესპუბლიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებს;

— გაერთიანებებს, რომლებიც არიან მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურები (კონსორციუმები, კონცერნები, ასოციაციები და სხვები), რომელთა ნუსხებს ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოები;

— საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ და საზღვარგარეთთან ფართო მასშტაბურ სამეურნეო ურთიერთობათა განმხორციელებელ საწარმოებს (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით).

2. ნება დაერთოს ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოს, გაერთიანებასა და ორგანიზაციას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სოციალისტურ ქვეყნებში სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დელეგაციათა და სპეციალისტთა გასამგზავრებლად (1 წელზე მეტი ხანგრძლივობის მივლინებათა გარდა) თავიანთი მუშაკების მიმართ.

3. საზღვარგარეთ სანაოსნოდ და საფრენად დაშვება, აგრეთვე საზღვარგარეთ გამგზავრება მუშაკებისა, რომლებიც საერთაშორისო სარკინიგზო და საავტომობილო მარშრუტებს ემსახურებიან, განხორციელდეს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს,

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შესაბამის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი გარემოებანი, რაც დაუყოვნებლივ გამგზავრებას მოითხოვს, დელეგაციათა და სპეციალისტთა მივლინება (მრეწველობის თავდაცვითი დარგების გარდა) შეიძლება, როგორც გამონაკლისი, განახორციელონ დამოუკიდებლად სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელებმა თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით.

5. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ, რომ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში დელეგაციათა და სპეციალისტთა გასამგზავრებლად გადაწყვეტილებანი მიიღება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფისა და დიდმნიშვნელოვანი ინფორმაციის გატანის თავიდან აცილების აუცილებლობის გათვალისწინებით.

დაევალოთ ორგანიზაციებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ ასეთი გადაწყვეტილებანი, წინასწარ მიმართონ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს იმისათვის, რათა დააღასტურონ მისავლინებელ მუშაკთა მიერ სახელმწიფო საიდუმლოებათა ცოდნა.

6. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების სისტემის ზუსტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის, სხვადასხვა უწყების მუშაკთა საზღვარგარეთ გამგზავრების მოწესრიგების, დელეგაციათა და სპეციალისტთა მივლინებისათვის მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებაში საზღვარგარეთ მივლინებების კოორდინაციის სექტორი, რომელსაც დაეკისროს საზღვარგარეთ დელეგაციათა და სპეციალისტთა მისავლინებლად და საზღვარგარეთ მივლინების ეფექტიანობისადმი კონტროლის განსახორციელებლად, აგრეთვე უცხოეთის დელეგაციების მისაღებად საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებებისა და ცენტრალური დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა.

განისაზღვროს ზემოაღნიშნული სექტორის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

7. რჩევა მეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს შექმნან არსებული შტატების ლიმიტის ხარჯზე სტრუქტურული ქვედანაყოფები საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთაშორისო ურთიერთობათა განსავითარებლად მუშაობის ორგანიზაციისათვის.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ შექმნან შესაბამისი ქვედანაყოფები, ხოლო არსებული გაანმტკიცონ კვალიფიციური კადრებით.

8. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

— საკუთარი საკონსულო სამსახურის განმტკიცების მიზნით (ქალაქ მოსკოვში საკონსულო ჯგუფის შექმნის, მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფის, შენობის იჯარის და ა. შ. ჩათვლით) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი, აგრეთვე შეისწავლოს სამინისტროს ცალკეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის შესაძლებლობა;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს რწმუნებულთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საზღვარგარეთ მივლინებათა ორგანიზაციისათვის საქმიანობის კოორდინაცია, მიიღოს ზომები მისი სრულყოფისათვის, მათ შორის შეატყობინოს შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, სხვა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საზღვარგარეთ არსებული საბჭოთა დაწესებულებების მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებანი საზღვარგარეთ მივლინებათა განხორციელებაში და ყოველწლიურად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დარგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ;

— რეგულარულად გაუგზავნოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომებს საცნობარო და სხვა საორიენტაციო მასალები, რომლებიც საჭიროა საზღვარგარეთული პასპორტების გასაფორმებლად და უცხოეთის სახელმწიფოთა ვიზების მისაღებად, აგრეთვე საზღვარგარეთ საბჭოთა მოქალაქეების ყოფნის რეჟიმისა და პირობების შესახებ ინფორმირებისათვის.

უფლება მიეცეს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს გასცეს სსრ კავშირის მოქალაქეთა პასპორტებში ჩანართი ფურცლები (სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით სსრ კავშირიდან გასამგზავრებლად), რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 სექტემბრის № 1119 დადგენილებით.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ მოყოლებული 1990 წლიდან, რომ გამოუყონ სამინისტროებს, უწყებებს და ორგანიზაციებს ფინანსური სახსრები, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლობების მიერ ვიზების გაცემისას გადასახდევინებელ გამოსაღებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

10. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების სისტემისადმი საერთო ხელმძღვანელობის ორგანიზაციული საკითხების მომზადება, ამ დარგში განსახორციელებელი მუშაობის აღრიცხვა, კონტროლი და ანალიზი, აგრეთვე მთავრობის დელეგაციათა, საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დანიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულ ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელთა, მთავრობის აპარატის მუშაკთა მივლინების მასალების გაფორმება.

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 16 აგვისტოს № 661 დადგენილებით გათვალისწინებული სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების წესი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1989 წლის დეკემბრიდან.

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 30 ნოემბერი, № 585

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 ნოემბრის № 583
დადგენილების დანართი

საზღვარგარეთ მივლინებების კოორდინაციის სექტორის სტრუქტურა

	ერთეულების რაოდენობა
სექტორის გამგე	1
წამყვანი სპეციალისტი	2
ინსპექტორი	1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 30 ნოემბრის № 585
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გამგზავრების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საზღვარგარეთ დელეგაციათა და სპეციალისტთა სამსახურებრივი მივლინება უცხოეთის სახელმწიფოებთან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თანამშრომლობის, რესპუბლიკის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

საზღვარგარეთ მივლინებულ იქნებიან პროფესიული და პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მომზადებული მუშაკები, რომელთაც შესწევთ უნარი წარმატებით შეასრულონ დავალებანი და ღირსეულად წარმოადგინონ საბჭოთა ქვეყანა საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთ გასაგზავნ სპეციალისტთა შერჩევისა და მომზადებისათვის, საზღვარგარეთ მათი მუშაობის ეფექტიანობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მიმავლინებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

2. საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში დელეგაციათა და სპეციალისტთა გაგზავნისას უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კონტრაქტებით, საერთაშორისო თანამშრომლობის გეგმებით და გამგზავრების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

3. საზღვარგარეთ მისავლინებლად დელეგაციების წევრთა და სპეციალისტთა შერჩევა ხორციელდება პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ (საკავშირო ალკკ წევრთათვის) ორგანიზაციებთან შეთანხმებით. წერილობითი დახასიათებანი დგება მხოლოდ საზღვარგარეთ საბჭოთა დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასანიშნ, აგრეთვე საერთაშორისო ტრასების მომსახურე საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტზე, საზღვარგარეთ სანაოსნო გემებზე სამუშაოდ მისაღებ პირებზე.

4. მიმავლინებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომ შეუთანხმოს მიმღებ მხარეს, ხოლო საჭიროების შემთხვევებში აგრეთვე საზღვარგარეთ შესაბამის საბჭოთა დაწესებულებებს დელეგაციათა და სპეციალისტთა საზღვარგარეთ გამგზავრების თარიღი, მივლინების პროგრამა და იქ ყოფნის ვადა.

5. კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში დელეგაციათა და სპეციალისტთა მივლინებით გამგზავრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე ორგანოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ ნება დართონ მუშაკებს, რომლებიც თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობათა გამო რეგულა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულად იგზავნებიან საზღვარგარეთ მივლინებაში, მრავალგზის გამგზავრონ ყველა საზღვარგარეთულ ქვეყანაში. ასეთი ნებართვა გაიცემა 5 წლამდე ვადით.

არ უნდა გამოქვეყნდეს. მუშაკებს, რომელთა მივლინება ხორციელდება სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში შეკითხვის გაგზავნის გარეშე, საზღვარგარეთ მრავალგზის გამგზავრების ნებართვა შეიძლება მივცეთ დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდისათვის.

6. საზღვარგარეთული პასპორტებისა და სხვა გასამგზავრებელი დოკუმენტების გაფორმების, სახელმწიფო ბაჟის, უცხოეთის წარმომადგენლობათა გამოსაღების გადახდის ფინანსურ ხარჯებს, აგრეთვე სამივლინებო და სხვა ხარჯებს როგორც საბჭოთა, ისე უცხოური ვალუტით გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მივლინების ხარჯები ფინანსდება ცენტრალიზებული წესით.

II. საზღვარგარეთ გასამგზავრებლად გადაწყვეტილებათა მიღება

7. სოციალისტურ ქვეყნებში სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დელეგაციათა და სპეციალისტთა გასამგზავრებლად გადაწყვეტილებებს, მივლინების ვადების მიუხედავად, მიიღებენ დამოუკიდებლად სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ყველა კატეგორიის მუშაკთა მიმართ.

8. კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში და ხანგრძლივი მივლინებით სოციალისტურ ქვეყნებში სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დელეგაციათა და სპეციალისტთა გასამგზავრებლად გადაწყვეტილებებს, მივლინების ვადების მიუხედავად, მიიღებენ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, ცენტრალური დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მიმართ;

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები — შესაბამისად — ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაკთა, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მიმართ (იმ საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გარდა, რომელთა მუშაკების მიმართ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო).

10. სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და დიდმნიშვნელოვანი ინფორმაციის გატანის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დელეგაციათა და სპეციალისტთა გასამგზავრებლად გადაწყვეტილებანი მიიღება

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დადასტურონ მისავლინებელ მუშაკთა მიერ სახელმწიფო საიდუმლოების ცოდნა. ამ საკითხზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის მიმართვის პერიოდულობა — ერთხელ 5 წელიწადში.

ასეთ მიმართვაზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოები პასუხს გასცემენ 20 დღის განმავლობაში.

11. კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში სამსახურებრივი მივლინებით გასამგზავრებლად გადაწყვეტილებას მიიღებენ ამ დებულების მე-9 პუნქტში გათვალისწინებული ორგანოები და ორგანიზაციები მიმავლინებელი ორგანიზაციის მიერ წარდგენის დროიდან არა უმეტეს 30 დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება მიმავლინებელ ორგანიზაციას ეცნობება წერილობით.

ერთ-ერთ კაპიტალისტურ ან განვითარებადს ქვეყანაში გასამგზავრებლად მიმავლინებელი ორგანიზაციის წარდგენით მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია გასამგზავრებლად ნებისმიერ ქვეყანაში.

12. იმ შემთხვევებში, როცა წარდგენა საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ უარყოფილია, მიმავლინებელი ორგანიზაცია ატყობინებს შესაბამის სპეციალისტს, თუ რა მიზეზით არ შეიძლება მოეწყოს მისი გამგზავრება.

13. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა, უწყებათა, ცენტრალურ დაწესებულებათა ხაზით საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების სპეციალისტთა მივლინებისას გადაწყვეტილებანი საზღვარგარეთ მათი გაგზავნის შესაძლებლობის შესახებ ფორმდება სამუშაო ადგილზე ამ დებულების მე-9 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

14. სახელმწიფო საიდუმლოების მცოდნე სპეციალისტთა საზღვარგარეთ გამგზავრება ხორციელდება დავალებათა შესრულებაში მათი უშუალო მონაწილეობის აუცილებლობის კვალობაზე, მისავლინებელ ქვეყანაში არსებული პირობებისა და მივლინების ვადების გათვალისწინებით.

არ უნდა გამოქვეყნდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობების მცოდნე პირთა გამგზავრება კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში ხორციელდება მხოლოდ დელეგაციებისა და ჯგუფების შემადგენლობაში და საგანგებო შემთხვევებში.

არ უნდა გამოქვეყნდეს. ნუსხები იმ კატეგორიების პირთა, რომელთა მიმართაც შეკითხვები სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში არ იგზავნება, აგრეთვე იმ კატეგორიების პირთა, რომლებზეც არ ვრცელდება საზღვარგარეთ გამგზავრების შეზღუდვები სახელმწიფო საიდუმლოების ცოდნასთან დაკავშირებით, განისაზღვრება დადგენილი წესით.

III. საზღვარგარეთ ყოფნის ვადები, მივლინებულთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლის წესი

15. საზღვარგარეთ დელეგაციათა და სპეციალისტთა ყოფნის ვადებს განსაზღვრავს მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში სსრ კავშირის ელჩებს, სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენლებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სსრ

კავშირის გენერალურ კონსულებს შეუძლიათ გააგრძელონ საზღვარგარეთ დელეგაციათა და სპეციალისტთა ყოფნის ვადები და ნება დართონ საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფ სპეციალისტებს გადავიდნენ მესამე ქვეყანაში. გადაწყვეტილებანი მესამე ქვეყანაში გადასვლისა და ხანგრძლივი მივლინების ვადების გაგრძელების შესახებ მიიღება მიმავლინებელ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

სოციალისტური ქვეყნიდან კაპიტალისტურ ან განვითარებადს ქვეყანაში გადასვლისას გადაწყვეტილება მიიღება იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს ამ დებულების II განაყოფი კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებში გასამგზავრებლად.

IV. საზღვარგარეთული პასპორტების გაფორმება და უცხოეთის სახელმწიფოთა ვიზების მიღება

16. საზღვარგარეთული პასპორტების გასაფორმებლად მიმავლინებელი ორგანიზაციები ამისათვის საჭირო დოკუმენტებს უგზავნიან შემდეგ ორგანოებს:

ა) სოციალისტურ ქვეყნებში გამგზავრებისას:

— საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, რესპუბლიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები; რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები;

— შინაგან საქმეთა ორგანოებს — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი; ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები.

ბ) კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში გამგზავრებისას:

— საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქი, ქალაქ თბილისის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

17. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო აფორმებს ყველა სახის საზღვარგარეთულ პასპორტებსა და ყველა კატეგორიის ვიზებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული შინაგან საქმეთა ორგანოები აფორმებენ სამსახურებრივ და საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთულ პასპორტებს და სსრ კავშირის მოქალაქეთა პასპორტების ჩანართ ფურცლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. საზღვარგარეთ სანაოსნოდ და საფრენად დაშვების წესი

18. საზღვარგარეთ სანაოსნოდ დაშვება ხორციელდება იმ სანაოსნოთა საწარმოო გაერთიანებათა და სხვა ორგანიზაციათა გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელთა ნუსხებს ამტკიცებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც აქვთ საზღვარგარეთ სანაოსნო გემები, ამ დებულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით.

საზღვარგარეთ სანაოსნო გემების ეკიპაჟების შემადგენლობაში სამუშაოდ რეკომენდებულ პირთა და საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ სპეციალისტთა მიმართ, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ გასვლებს საზღვარგარეთულ რეისებში, ზემოაღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ მათი სამუშაოზე გაფორმებისას. საზღვარგარეთ სანაოსნოდ გასვლისათვის გასაფორმებელ სხვა მუშაკებთან დაკავშირებით სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მიმართვის პერიოდულობა — ერთხელ 5 წელიწადში. გადაწყვეტილება ამ კატეგორიის პირთა, აგრეთვე სანაოსნო შემადგენლობის მუშაკთა საზღვარგარეთ სანაოსნოდ დაშვების შესახებ უცხოეთის საზოგადოებათა და კომპანიათა გემებზე მათი სამუშაოდ გაგზავნის საფუძველს წარმოადგენს.

გადაწყვეტილება საზღვარგარეთ სანაოსნოდ გემის ეკიპაჟის წევრთა დაშვების თაობაზე ძალაშია საზღვარგარეთ სანაოსნო გემებზე შრომითი საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ წარმოიშობა ამის დამაბრკოლებელი მიზეზები, და ძალაში რჩება სხვა დარგების საწარმოებში მათი გადაყვანის ან გაგზავნის დროს. საზღვარგარეთ სანაოსნოდ სხვა სპეციალისტთა დაშვების თაობაზე გადაწყვეტილების მოქმედების ვადაა 5 წელი.

დარგიდან მუშაკის დათხოვნისას გადაწყვეტილება საზღვარგარეთ სანაოსნოდ მისი დაშვების თაობაზე ძალას კარგავს.

19. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ სანაოსნოდ იმ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაშვების გაფორმება, რომლებსაც არა აქვთ საზღვარგარეთ სანაოსნო გემები, ხორციელდება სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის დადგენილი წესით, იმ პირობით, რომ საზღვარგარეთ სანაოსნოდ გასვლის თაობაზე გადაწყვეტილება წინასწარ უნდა შეუთანხმდეს სამინისტროს (უწყებას, ორგანიზაციას), რომლის გემზეც ნავარაუდევია მუშაკის წასვლა საზღვარგარეთულ რეისში.

20. მეზღვაურის პასპორტი სსრ კავშირის მოქალაქეს მიეცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მეზღვაურის პასპორტის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

21. საზღვარგარეთ საფრენად დაშვება ხორციელდება სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოების, იმ საწარმოო გაერთიანებების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელთა ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო, ამ დებულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი საზღვარგარეთული რეისების განმხორციელებელი მფრინავთა ეკიპაჟების შემადგენლობაში საფრენად რეკომენდებულ პირთა მიმართ აღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ საზღვარგარეთ საფრენად მათი თავდაპირველი გაფორმებისას.

გადაწყვეტილება საზღვარგარეთ საფრენად საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრთა დაშვების თაობაზე ძალაშია საზღვარგარეთ მრავალგზის ფრენის განმხორციელებელი ქვედანაყოფის შემადგენლობაში შრომითი საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ წარმოიშობა ამის დამაბრკოლებელი მიზეზები.

საზღვარგარეთ საფრენად სამხედრო საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის დაშვების უფლება აქვს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს.

22. ფრენა სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე კაპიტალისტურ და განვითარებადს ქვეყნებში, რომლებთანაც დადებულია ურთიერთშეთანხმება, შეიძლება განახორციელოს მფრინავთა შემადგენლობამ მფრინავი ეკიპაჟის წევრის მოწმობისა და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრის მოწმობის მიხედვით, შესასვლელ-გამოსასვლელი ვიზების მიუღებლად.

იმ შემთხვევებში, როცა უცხოეთის სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესასვლელ-გამოსასვლელ ვიზებს სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრებისათვის, საზღვარგარეთული პასპორტების გაფორმება და მათთვის ვიზების მიღება ხორციელდება ამ დებულების IV განაყოფის შესაბამისად.

23. ინსტრუქციას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ გასამგზავრებლად დოკუმენტების წარდგენის, გადაწყვეტილების მიღების, საზღვარგარეთული პასპორტების გაფორმების და უცხოეთის სახელმწიფოთა ვიზების მიღების წესის შესახებ, რომელიც 1989 წლის 9 ოქტომბერს დამტკიცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან შეთანხმებით, აგრეთვე საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში სპეციალისტთა გამგზავრების გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტების ნიმუშებს დაგზავნის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო.

---

120 ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ფონდის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს ქართველ ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ფონდის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 6 დეკემბერი, № 587

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 6 დეკემბრის № 1377
დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ფონდის „მამულის"

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. ქართველ ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ფონდი „მამული" (შემდგომ ფონდი) თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

II. ფონდის მიზნები და ამოცანები

ფონდი მიზნად ისახავს:

2. ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას.

3. მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მიზნით შეიძინოს ან გამოსცეს თანამედროვე სპეციალური და პოპულარული ლიტერატურა, თვალსაჩინოებანი, მოიწვიოს სამამულო და უცხოელი სპეციალისტები, უზრუნველყოს ახალგაზრდა სპეციალისტთა შერჩევა და გაგზავნა საზღვარგარეთის წამყვან სამედიცინო ცენტრებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

4. შექმნას სამედიცინო ცენტრები, საკუთარი და ერთობლივი საწარმოები.

5. ხელი შეუწყოს სამკურნალო ტურიზმის განვითარებას საქართველოში.

III. ფონდის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

6. ფონდის წევრი შეიძლება გახდეს ცალკეული პირი ან ორგანიზაცია, რომელიც გამოთქვამს ფონდში შესვლის სურვილს, მხარს უჭერს ფონდის წესდებას, იზიარებს მის მიზნებს და იხდის საწევრო შესატანს. ფონდის წევრად მიღებისათვის საკმარისია ფონდის ორი წევრის რეკომენდაცია.

7. ფონდში წევრად შესვლა და ფონდის რიგებიდან გასვლა ნებაყოფლობითია.

8. მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებით შეიძლება ისარგებლონ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. ფონდი მათთან აფორმებს კანონით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს.

9. ფონდის წევრს უფლება აქვს:

— გამოთქვას თავისი მოსაზრება და წამოაყენოს წინადადება ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიღოს ფონდის მიერ გამოცემული საცნობარო და სხვა სამეცნიერო-ტერატურა;

— მონაწილეობა მიიღოს ფონდის ღონისძიებებში;

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს ფონდის გამგეობაში.

10. ფონდის წევრი მოვალეა:

— დაიცვას ფონდის წესდება და შეასრულოს ფონდის გადაწყვეტილებანი;

— პირადი მონაწილეობა მიიღოს ფონდისა და მასთან მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობაში;

— გაუფრთხილდეს ფონდის ავტორიტეტს, არ შებღალოს მისი სახელი თავისი საქციელით;

— დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი.

IV. ფონდის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

11. ფონდის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც იკრიბება ორსამ წელიწადში ერთხელ (რიგგარეშე კრების გარდა). საერთო კრება პირდაპირი, ღია კენჭისყრით ირჩევს ფონდის გამგეობასა და საარევიზიო კომისიას, ამტკიცებს წესდებას ან შეაქვს მასში ცვლილებანი, განსაზღვრავს ფონდის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, განიხილავს და ამტკიცებს გამგეობისა და საარევიზიო კომისიის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, იღებს გადაწყვეტილებებს ფონდის საფინანსო, სამეურნეო და სხვა საკითხებზე.

საერთო კრებებს შორის პერიოდში ფონდის საქმიანობას წარმართავს გამგეობა.

12. გამგეობა ირჩევს კოორდინატორსა და მდივან-ხაზინადარს.

13. ფონდის გამგეობა:

— იწვევს სხდომებს ორ თვეში ერთხელ;

— ისმენს კოორდინატორისა და მდივან-ხაზინადარის ანგარიშებს, განსაზღვრავს საწევრო შესატანის ოდენობას;

— მოქმედებს ფონდის სახელით, არის მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა და საზღვარგარეთის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებში; მართავს მათთან მოლაპარაკებას და აფორმებს ხელშეკრულებას წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— აყალიბებს სამუშაო ჯგუფებს, ქმნის დროებითს მოქმედ კომისიებს;

— განაგებს ფონდის ფულად სახსრებს.

14. გამგეობის წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე. მათს საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს ფონდი.

15. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტმა.

16. კონტროლი ფონდის წესდების შესრულებისადმი, ფონდის სათანადო საქმიანობისა და მისი სახსრების სწორად ხარჯვისადმი ევალება საერთაშორისო-მისიას. სარევიზიო კომისია ადგენს სამუშაო გეგმას, იკრიბება კვარტალში ერთხელ და ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

V. ფონდის იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი, ფონდის სახსრები

17. ფონდი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს მრგვალი ბეჭედი, ბლანკი, შტამპი, გააჩნია თავისი ანგარიში ბანკში, აგრეთვე სპეციალური სავალუტო ანგარიში.

18. ფონდის ფულადი სახსრები იქმნება:

— ფონდში შესასვლელი შენატანისაგან;

— საწევრო შენატანისაგან;

— საქველმოქმედო შემოწირულებებისაგან;

— სამეურნეო და კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლისაგან.

19. საკუთარი სავალუტო სახსრების შექმნის მიზნით ფონდი მონაწილეობს საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებში საკუთარი მიზნებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IV. ფონდის მოქმედების შეწყვეტა

20. ფონდი მოქმედებას წყვეტს საერთო კრების გადაწყვეტილებით.

21. ფონდის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში იქმნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

121 სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 8 დეკემბერი, № 590

122 „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების“ წესდების რეგისტრირების შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან რეგისტრირებულ იქნეს „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების“ წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 დეკემბერი, № 592

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა
1989 წლის 11 დეკემბრის № 592
დადგენილებით

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება (შემდგომ — საზოგადოება) არის დამოუკიდებელი, თვითმმართველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

II. საზოგადოების მიზნები და ამოცანები

1. საზოგადოების მიზნები და ამოცანებია:

— ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა შორის კონტაქტების დამყარებასა და ყოველმხრივ განვითარებას;

— გააცნოს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრების ~~ხ~~ხვადასხვა ასპექტი და ხელი შეუწყოს საქართველოს გაცნობას ამერიკის შეერთებულ შტატებში;

— გააააქტიუროს ორმხრივი გაცვლები და შეხვედრები საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელოვნების, მეცნიერების, განათლების, სპორტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენელთა შორის;

— მიაწოდოს დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საინფორმაციო მასალა და სხვა სახის ლიტერატურა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს შესახებ;

— ხელი შეუწყოს ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

III. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

2. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მკვიდრი, რომელიც მხარს უჭერს ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს და იხდის საწევრო გადასახადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიო წევრის სახელი შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ პირს (მათ შორის უცხოელს) საქართველოსა და აშშ ურთიერთობაში განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური მონაწილეობისათვის;

— საზოგადოებაში მიიღებიან როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წევრები;

— კოლექტიური წევრი შესაბამისად იძენს პირველადი ორგანიზაციის (ფილიალის) სტატუსს;

— საზოგადოებაში მისაღებად საკმარისია საზოგადოების რომელიმე წევრის რეკომენდაცია;

— საზოგადოებაში შესვლა და გამოსვლა ნებაყოფლობითია.

3. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

— გამოთქვას თავისი მოსაზრება და წამოაყენოს წინადადება საზოგადოების საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე;

— გაეცნოს საზოგადოებაში არსებულ ნებისმიერ საინფორმაციო მასალასა და ლიტერატურას აშშ შესახებ;

— მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ღონისძიებებში;

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოში.

4. საზოგადოების წევრი მოვალეა:

— უზრუნველყოს საზოგადოების წესდების დაცვა და გადაწყვეტილებათა შესრულება;

— არ შებღალოს საზოგადოების სახელი თავისი საქციელით;

— დროულად გადაიხადოს საწევრო შესატანი.

IV. საზოგადოების სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

5. საზოგადოების უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელიც იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. კონფერენცია სახავს საზოგადოების საქმიანობის პროგრამას, ირჩევს საზოგადოების გამგეობასა და სარევიზიო კომისიას.

6. გამგეობა ირჩევს საზოგადოების პრეზიდენტს და გამგეობის პასუხისმგებელ მდივანს, რომლებიც წარმართავენ მიმდინარე საქმიანობას.

7. გამგეობა მოქმედებს საზოგადოების სახელით და სარგებლობს სრული უფლებით, მართავს მოლაპარაკებებს საბჭოთა და საზღვარგარეთის საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებთან, აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს სხვადასხვა საკითხებზე წესდების შესაბამისად.

გამგეობა იკრიბება ორ თვეში ერთხელ. მისი გადაწყვეტილება ძალაშია მიღების დღიდან.

8. რიგგარეშე კონფერენცია შეიძლება მოწვეულ იქნეს:

ა) გამგეობის წინადადებით;

ბ) საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების (ფილიალების), საზოგადოების წევრთა უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნით.

9. კონფერენციებს შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობას წარმართავს გამგეობა, რომელიც ადგენს და ამტკიცებს სამუშაო გეგმას, განაგებს საზოგადოების ხაზინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საზოგადოების სარევიზიო კომისია კონტროლს უწევს:

— საზოგადოების წესდების, კონფერენციისა და გამგეობის გადაწყვეტილებების, საზოგადოების ძირითად ღონისძიებათა გეგმების შესრულებას;

— საზოგადოების ფონდების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ბიუჯეტის შესრულების სიზუსტეს.

V. საზოგადოების იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი და სახსრები

11. საზოგადოება იურიდიული პირია.

12. საზოგადოების გამგეობას აქვს ბეჭედი, გააჩნია ბანკში ანგარიში, აგრეთვე სპეციალური სავალუტო ანგარიში.

13. საზოგადოების სავალუტო სახსრები შედგება:

— საწევრო შენატანებისაგან;

— საქველმოქმედო შემოწირულებებისაგან (როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან), რომელიც სხვა ფულად სახსრებთან ერთად შეიძლება შეადგენდეს უძრავ ან მოძრავ ქონებას;

— საქველმოქმედო ღონისძიებების (კულტურულ-სანახაობითი, საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა), სამეურნეო და კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლისაგან.

14. საზოგადოებამ შეიძლება გასწიოს:

— სამივლინებო ხარჯები დელეგაციებისათვის;

— ხარჯი საინფორმაციო-პროპაგანდისტული მასალის შესადგენად;

— ხარჯები საქველმოქმედო მიზნებისათვის კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და სხვა სფეროებში;

— სამეურნეო საქმიანობის ხარჯები.

15. საზოგადოება ქმნის საწარმოებს, მათ შორის ერთობლივ საწარმოებს უცხოეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

VI. საზოგადოების მოქმედების შეწყვეტა

16. საზოგადოება მოქმედებას წყვეტს:

— საზოგადოების კონფერენციის გადაწყვეტილებით;

— საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

17. საზოგადოების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში იქმნება სპეციალური სალიკვიდაციო კომისია, რომელიც მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში დარჩენილი ფულადი სახსრები და ქონება გადაეცემა საზოგადოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

123 საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 დეკემბერი, № 598

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 11 დეკემბრის № 598
დადგენილებით

საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის
წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაცია (შემდგომ „ასოციაცია") მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ჩამოყალიბებული თვითმმართველობაზე დამყარებული ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. ასოციაცია მიზნად ისახავს რესპუბლიკის ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციას, რათა ხელი შეუწყოს გარდაქმნას, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული და პოლიტიკური პრობლემების შესწავლას და დასაბუთებულ პროგნოზთა საფუძველზე რეკომენდაციების დამუშავებას და რეალიზაციას, საქართველოს სრული ეროვნული სუვერენიტეტის დამკვიდრებას, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაფართოებას.

3. ასოციაცია თანამშრომლობს ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან, უწყებებსა და საზოგადოებებთან, რომელთა მოღვაწეობა საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერული და კულტურული აღმავლობის და საყოველთაო მშვიდობისა და პროგრესის მიზნებს ემსახურება.

II. ასოციაციის ამოცანები და საქმიანობის ფორმები

4. ასოციაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რესპუბლიკის მეცნიერთა, სპეციალისტთა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეკავშირება, მათი პოტენციალის გააქტიურება და კონცენტრაცია მსოფლიოს გლობალური პროცესების შესაბამისად რესპუბლიკის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

5. ასოციაცია ხელს უწყობს:

ა) რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნას ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებას;

ბ) ჰუმანიზმის იდეალებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, საერთაშორისო და საკავშირო სამშვიდობო მოძრაობაში საქართველოს ინტელიგენციის მონაწილეობის გაფართოებას და სახალხო დიპლომატიის შემდგომ განვითარებას, რისთვისაც ფართოდ იყენებს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის არხებსა და საშუალებებს;

გ) მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობას აქტუალური პრობლემების ანალიზსა და გადაწყვეტაში, სახელმწიფო და დარგობრივი პროგრამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემუშავებასა და რეალიზაციაში; რეკომენდაციების მიწოდებასა და თანმხლებ-
რებას და ალტერნატიული წინადადებების წამოყენებას;

დ) განათლების ძირეულ გარდაქმნას ეროვნული სკოლის პრინციპებზე. მაღალზნეობრივი, თანამედროვე განათლებისა და პროფესიული ორიენტაციის მქონე ახალგაზრდობის აღზრდას, უწყვეტი განათლების კონცეფციის შემუშავებას და რეალიზაციას;

ე) რესპუბლიკაში მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფას, მეცნიერთა და სპეციალისტთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას და სწორი საკადრო პოლიტიკის რეალიზაციის გზით მათს ეფექტიან გამოყენებას სახალხო მეურნეობაში; მეცნიერთა და სპეციალისტთა პროფესიული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების დაცვას;

ვ) ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის, შემდგომ განვითარებას; ბუნებისა და კულტურის ძეგლების, ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვას; ქართული კულტურის ურთიერთქმედების გაფართოებას მსოფლიოს ხალხთა კულტურებთან;

ზ) სამშვიდობო, ჰუმანიტარული, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პრობლემების შესწავლას და გადაწყვეტას.

6. აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე, ასოციაცია:

ა) აქტიურად მონაწილეობს მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის, საერთაშორისო და საკავშირო სამშვიდობო ორგანიზაციების საქმიანობაში. ამყარებს კავშირსა და თანამშრომლობს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან, ცალკეულ მეცნიერებთან და სპეციალისტებთან; ცვლის დელეგაციებს და ატარებს სამეცნიერო ფორუმებს;

ბ) აქტიურად იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად და ფორმირებისათვის. გამოსცემს ბროშურებს, ბიულეტენებსა და სტატიათა კრებულებს;

გ) დებს ხელშეკრულებებს უწყებებთან და ორგანიზაციებთან სამეცნიერო სამუშაოთა შესრულების შესახებ სამეურნეო ან საზოგადობრივ საწყისებზე, რისთვისაც აყალიბებს სამეურნეოანგარიშიან სამეცნიერო და უახლეს მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის ცენტრებს და დროებითს შემოქმედებითს კოლექტივებს;

დ) შეიმუშავებს პროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებს აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად, ქმნის ფონდებს ამ პროგრამების რეალიზაციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. აწესებს ასოციაციის ჯილდოებს, პრემიებსა და სტიპენდიებს.

III. ასოციაციის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

7. ასოციაციის წევრებად შეიძლება მიღებულ იქნენ რესპუბლიკის სამეცნიერო, ტექნიკური, პედაგოგიური, შემოქმედებითი და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. წევრების მიღება ხდება ასოციაციის საბჭოს სხდომაზე, ან მისი კომისიის ან სამუშაო ჯგუფის წარდგენის საფუძველზე.

9. ასოციაციის წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკის ან უცხოელი მოქალაქე, რომელიც აღიარებს ასოციაციის წესდებას და მონაწილეობს მისი რომელიმე პროგრამის, პროექტის ან ცალკეული აქციების განხორციელებაში; საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია შეასრულოს ასოციაციის წარმომადგენლის ფუნქციები შესაბამის რეგიონში.

ასოციაციის წევრ-კორესპონდენტებს ირჩევს ასოციაციის საერთო კრება, ამასთან, დაშვებულია მათი არჩევა დაუსწრებლად. წევრ-კორესპონდენტები სარგებლობენ წევრის ყველა უფლებით და თავისუფალი არიან საწევრო გადასახადისაგან.

10. ასოციაციის წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს გადაეცემათ სათანადო მოწმობები და სამკერდე ნიშნები.

11. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში. აირჩიოს ან თვითონ იქნეს არჩეული ამ ორგანოებში;

ბ) დელეგირებულ იქნეს ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით როგორც ასოციაციის წარმომადგენელი რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მივლინებულ იქნეს მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და ასოციაციის მიერ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, სხვა ღონისძიებებსა და აქციებში მონაწილეობის მისაღებად;

გ) შეიტანოს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში, საბჭოს სხდომებსა და საერთო კრებებზე განსახილველად და მონაწილეობა მიიღოს მათს რეალიზაციაში;

დ) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობაში;

ე) ასოციაციის ფარგლებში მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და ასოციაციის მიერ დადებული სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე ან მატერიალური ანაზღაურების გარეშე ჩამოაყალიბოს დროებითი სამეცნიერო-ტექნიკური ან შემოქმედებითი კოლექტივი კოოპერაციულ საწყისებზე, რომელიც შეასრულებს სამუშაოებს ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებთან;

ვ) მიიღოს ინფორმაცია ასოციაციისა და მისი საბჭოს მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიებისა და აქციის შესახებ, გაეცნოს საბჭოს წლიურ ანგარიშებს (მათ შორის საფინანსო ანგარიშებსა და პუბლიკაციებს);

ზ) სურვილისამებრ გავიდეს ასოციაციის რიგებიდან.

12. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს წესდების მოთხოვნები, ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები და დავალებები ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

ბ) რეგულარულად გადაიხადოს საწევრო გადასახადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. ასოციაციის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

13. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: პრობლემური კომისია, სამუშაო ჯგუფი, სექცია, რეგიონალური განყოფილება (ორგანიზაცია).

14. ასოციაციის პირველადი ქვედანაყოფია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ერთ პროგრამაზე მომუშავე ასოციაციის წევრებს.

15. პრობლემური კომისია კოორდინაციას უწევს შესაბამის სფეროში ან დარგში (მონათესავე დარგებში) ასოციაციის სამუშაო ჯგუფების შექმნასა და მათს საქმიანობას.

16. ასოციაციის სექციები კოორდინაციას უწევენ სამეცნიერო საქმიანობას ცალკეული დარგების მიხედვით.

17. ასოციაციის რეგიონალური განყოფილებები ყალიბდება ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად; ასოციაციის საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების შექმნისა და მუშაობის წესს განსაზღვრავენ ასოციაციის საბჭო და მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ადგილობრივი ორგანიზაციები.

18. ასოციაციასთან ფუნქციონირებს „მეცნიერებისა და სახალხო დიპლომატიის კლუბი“.

19. დაშვებულია ასოციაციასთან სამეცნიერო-ტექნიკური და უახლეს მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის ცენტრების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება შესაბამისი დებულებების საფუძველზე.

20. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება, ასოციაციის საბჭო და სარევიზიო კომისია.

21. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება, რომელიც ყოველწლიურად ირჩევს ასოციაციის საბჭოს. საბჭოს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუ ამას მოითხოვს საბჭოს წევრთა ერთ მესამედზე მეტი. საერთო კრებაზე დელეგატთა არჩევის წესსა და წარმომადგენლობის ნორმებს განსაზღვრავს ასოციაციის საბჭო. საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც.

22. ასოციაციის საერთო კრება:

ა) ისმენს, განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ბ) შეაქვს ცვლილებანი და დამატებები ასოციაციის წესდებაში და ამტკიცებს მათ, განიხილავს და ამტკიცებს სათანადო დებულებებსა და ინსტრუქციებს;

გ) განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებსა და მიმართულებებს, ამტკიცებს მათი რეალიზაციის ძირითად ღონისძიებათა გეგმას;

დ) განიხილავს ასოციაციაში წევრ-კორესპონდენტთა მიღების საკითხს;

ე) განიხილავს ასოციაციის მიერ დაწესებული ჯილდოების, პრემიებისა და სტიპენდიების მინიჭების საკითხს არსებული დებულებების შესაბამისად;

ვ) ირჩევს ხმის უმრავლესობით ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილეს, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობას, განსაზღვრავს საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ოდენობას. საბჭო, თავის მხრივ, ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეებს და პასუხისმგებელ მდივანს. ასოციაციის საბჭოს შემადგენლობას, მის თავმჯდომარესა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ ერთი წლის ვადით, ამასთან, ისინი შეიძლება გადარჩეულ იქნენ ვადამდე საერთო კრების მიერ, პირადი განცხადების საფუძველზე, საბჭოს წინადადებით ან თუ ამას მოითხოვს საერთო კრების დელეგატთა ნახევარზე მეტი.

23. ასოციაციის ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფი ანგარიშვალდებულია მისი საერთო კრების წინაშე.

24. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის საბჭო ხელმძღვანელობს ასოციაციის მუშაობას საერთო კრებებს შორის პერიოდში. სხდომა ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც.

25. ასოციაციის საბჭო:

ა) კოორდინაციას უწევს ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობას, ისმენს და განიხილავს მათს ანგარიშებს;

ბ) განიხილავს ახალი პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავების, ხელშეკრულებების დადების წინადადებებს და ამტკიცებს მათ;

გ) შუამდგომლობს შესაბამისი ორგანოების წინაშე, რომ დაუშვან ასოციაციის კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული პროგრამები და სამეცნიერო პროექტები კონკურსებზე, რომლებიც გამოცხადებულია აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ან სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად;

დ) განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის შემადგენლობაში ახალი ქვედანაყოფების შექმნის, წევრების მიღების საკითხებს;

ე) იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ.

26. ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები ახორციელებენ ასოციაციის ოპერატიულ ხელმძღვანელობას, ეანაგებენ ასოციაციის სამეურნეო და მიმდინარე საქმიანობას, თავმჯდომარეობენ საერთო კრებებსა და საბჭოს სხდომებს, ხელს აწერენ სამეურნეო, საფინანსო და ოფიციალურ დოკუმენტებს, საბჭოს გადაწყვეტილებით ხსნიან და ხურავენ ანგარიშებს სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში.

27. ასოციაციის სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.

28. სარევიზიო კომისია:

ა) პერიოდულად ამოწმებს საბჭოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, ახორციელებს მატერიალურ ფასეულობათა რევიზიას და აღრიცხვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კონტროლს უწევს მოქმედი წესდების მუხლებისა და დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება არჩეულ იქნეს საბჭოში (და პირიქით) და მის სხდომებს ესწრება სათათბირო ხმის უფლებით. სარევიზიო კომისია ირჩევს თავის თავმჯდომარესა და მდივანს;

დ) სარევიზიო კომისიას საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დასვას საბჭოს წინაშე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის საკითხი;

ე) სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმის უმრავლესობით.

V. ასოციაციის იურიდიული სტატუსი

29. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაცია იურიდიული პირია აქედან გამომდინარე ყველა უფლებით.

30. ასოციაციას აქვს დადგენილი ფორმის შტამპი და მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდებებით.

31. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს ასოციაციის საერთო კრება. ამასთან, კრების გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის შესახებ ძალაში შედის, თუ მას ხმა მისცა დელეგატთა სამმა მეოთხედმა.

32. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

VI. ასოციაციის სახსრები და საფინანსო საქმიანობა

33. ასოიცაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი.

34. ასოციაციის ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა:

ა) ასოციაციის წევრთა შესასვლელი შესატანი (5 მანეთი) და ყოველწლიური საწევრო შესატანი (5 მანეთი);

ბ) მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სუბსიდიები;

გ) სამეცნიერო-სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავალი;

დ) ასოციაციის მიერ მომზადებული და რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოებში შეკვეთის წესით გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებით მიღებული შემოსავალი;

ე) კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ღონისძიებებით მიღებული სახსრები;

ვ) სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციათა, აგრეთვე, კერძო პირთა ყველა სახის ნებაყოფლობითი შენატანები.

35. ასოციაციის განკარგულებაში შეიძლება აგრეთვე იყოს კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ გადმოცემული არაფულადი სახის შემოწირულებანი, მეცნიერული კვლევის საშუალებები, უძრავი და მოძრავი ქონება.

36. ასოციაციის სახსრები ხმარდება მისი ამოცანების განხორციელებას იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც საბჭო ამტკიცებს. ამასთან, საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭო უფლებამოსილია გამოყოს თანხები: ცალკეული პროგრამების შესრულებისა-ვებლად და რეალიზაციისათვის, საპრემიო და სტიპენდიების ფონდების შესაქმნელად, ღონისძიებებისა და აქციების (მათ შორის გამსვლელი ღონისძიებებისა და აქციების) განსახორციელებლად; სხვა საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკურ ფონდებში, აგრეთვე ანგარიშებზე გადასარიცხად; ბეჭდვითი პროდუქციის მომზადებისა და გამოცემისათვის გაწეული ხარჯების დასაფარავად, ძირითადი ფონდების აღსადგენად და გასაფართოებლად; ასოციაციის წევრთა სამივლინებო და დელეგაციების მისაღები ხარჯების ასანაზღაურებლად, ინვენტარის შესაძენად, შენობებისა და მოწყობილობების არენდის, წესდებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებებისა და საქმიანობის დასაფინანსებლად.

37. სახსრების შენახვისა და ხარჯვის კონტროლს ახორციელებს ასოციაციის სარევიზიო კომისია.

———

124 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 მაისის № 199 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნაწილობრივ შეიცვალოს „1989 წლის მოსავლის კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, ხმელი ხილის (ჩირის), ყურძნისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის სახელმწიფო რესურსებში გამოყენების გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 მაისის № 199 დადგენილების მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით: „ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უზრუნველყოს ვაგონების მიწოდება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და ცეკავშირის სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის 1989 წლის მოსავლის ხილბოსტნეულის პროდუქციის გადასაზიდად ტვირთების წარდგენისთანავე, მათი გადაზიდვის წესების დაცვით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჟვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 11 დეკემბერი, № 601

125 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 827 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს, რომ ძალადაკარგულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თანდართული დადგენილებანი.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საეზოვე ნაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ღირებულება, რომლებიც აგებულია ქალაქად განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, სოფლად განლაგებული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ მუშაკებზე მისაყიდად — გამოიანგარიშება იმ წესით, რომელიც დადგენილია სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვა-ნორმატივებულების განსაზღვრისათვის დადგენილი ფასებითა და ნორმებით";

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი, მე-3 პუნქტის მეორე-მეოთხე აბზაცები, მე-14 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მეათე, მეთერთმეტე, მეცამეტე-მეთვრამეტე ქვეპუნქტები, ამავე პუნქტის „გ", „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტები.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 5 ოქტომბრის № 827 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალა „გადასახლება-დასახლების" შეღავათების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილების მე-6 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 აპრილის № 335 დადგენილების რედაქციით, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ავგისტოს № 514 დადგენილებით;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილებით დამტკიცებული დებულების სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ;

28-ე პუნქტში პირველ აბზაცში სიტყვები: „შემდეგი ოდენობით" შეიცვალა სიტყვებით: „ოდენობით, რომელიც დაწესებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით";

ძალადაკარგულად ჩაითვალა მეორე-მეხუთე აბზაცი, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 მარტის № 191 დადგენილებით;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით დამტკიცებული დებულების სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების შესახებ მე-16 პუნქტის პირველი აბზაცის პირველი წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„სამამულო ომის ინვალიდებს ეძლევათ ხელსხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის იმ ოდენობით, წესით და პირობებით, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 11 თებერვლის № 197 დადგენილებით", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 მარტის № 192 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 12 დეკემბერი, № 605

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 12 დეკემბრის № 1010
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 246 დადგენილება „საწარმოების, მშენებლობათა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“, პირველი და მეოთხე პუნქტების გარდა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის № 485 დადგენილება „იმ მიწის ნაკვეთებისა და ფულადი სესხის ოდენობის შესახებ, რომლებიც ეძლევათ გენერლებს, ადმირალებსა და უფროს ოფიცრებს საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური მშენებლობისათვის“.

3. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 თებერვლის № 125 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 აპრილის № 229 დადგენილების პირველი პუნქტი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 მარტის № 145 დადგენილება „ძროხების შეძენისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი კრედიტების გაცემის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 30 აგვისტოს № 597 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 13 ნოემბრის № 567 დადგენილების „მოსახლეობისათვის პერიოდული პრესის მიტანის შემდგომი გაუმჯობესების, პერიოდულ გამოცემათა ექსპედირებისა და მიტანის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

126 საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შეაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის **წესდება.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 14 დეკემბერი, № 607

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 14 დეკემბრის № 607
დადგენილებით

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ)

წ ე ს დ ე ბ ა

§ 1

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი) არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის განვითარებას საქართველოში.

სეოკ-ი თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო ოლიმპიური ქარტიის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების საფუძველზე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სეოკ-ი აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) უმაღლეს ხელისუფლებას და ოლიმპიური ქარტიის უზენაესობას.

სეოკ-ი არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ბეჭედი და ანგარიში ბანკში როგორც საბჭოთა მანეთებში, ასევე უცხოური ვალუტით.

სეოკ-ს აქვს თავისი ემბლემა. სეოკ-ის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

§ 2

სეოკ-ი მიზნად ისახავს:

ა. ხელი შეუწყოს ახალგაზრდობაში ოლიმპიური მოძრაობისა და საერთოდ სპორტისადმი ინტერესის გაღვივებას.

ბ. უფლებამოსილ ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან ერთად იზრუნოს სპორტსმენთა მომზადებისა და შერჩევისათვის საქართველოს წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად როგორც ოლიმპიურ თამაშებზე, ისე რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზობებში.

გ. ხელი შეუწყოს ოლიმპიური თამაშების ჩატარებას საქართველოში.

დ. მიაწოდოს სეოკ-ს მოსაზრებები ოლიმპიური წესების, ოლიმპიური თამაშების, მათი ორგანიზაციისა და ჩატარების, მთლიანად ოლიმპიური მოძრაობის შესახებ.

ე. ითანამშრომლოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით.

ვ. დაიცვას თავისი ავტონომია და არ მოექცეს არავითარ პოლიტიკური, რელიგიური თუ ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 3

ოლიმპიური კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ:

ა. ეროვნული სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები.

ბ. სეოკ-ის წევრი საქართველოდან (თუ ასეთი იქნება).

გ. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ხელს უწყობენ ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას, ან დიდი ამაგი დასდეს მას.

დ. საპატიო წევრები.

ე. ქველმოქმედნი.

სეოკ-ის წევრები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

სეოკ-ის წევრები არ არიან პერსონალური პასუხისმგებლები სეოკ-ის ვალდებულებებისათვის.

სეოკ-ის წევრები ფუნქციებს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, გარდა მართვის აპარატის მუშაკებისა. სეოკ-ი კისრულობს მის წევრთა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას.

§ 4

პირი სეოკ-ის წევრად აღარ ითვლება:

ა. იმ ფედერაციის დაშლის შემთხვევაში, რომელსაც იგი წარმოადგენს;

ბ. გადადგომის ან გარდაცვალების გამო.

გ. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გარიცხვისას ოლიმპიური ქარტიისა და წესდების დარღვევისათვის, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში.

§ 5

სეოკ-ის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა. გენერალური ასამბლეა, იგივე სესია.

ბ. აღმასრულებელი კომიტეტი.

§ 6

სეოკ-ის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია მე-3 პარაგრაფში.

გენერალური ასამბლეა მოიწვევა სულ მცირე წელიწადში ერთხელ, რათა:

ა. მოისმინოს პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენება სეოკ-ის საქმიანობის შესახებ.

ბ. განიხილოს სეოკ-ის გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი აღმასკომის საანგარიშო მოხსენება და შეაფასოს იგი.

გ. მოისმინოს მთავარი ხაზინადარის საფინანსო ანგარიში.

დ. დაამტკიცოს მომავალი საფინანსო წლის ბიუჯეტი.

ე. განიხილოს სხვა საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 7

გენერალური ასამბლეა შეიძლება მოწვეულ იქნეს რიგგარეშე, სეოკ-ის წევრთა ორი მესამედის თხოვნით.

ოთხ წელიწადში ერთხელ გენერალური ასამბლეა ირჩევს სეოკ-ის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, გენერალურ მდივანს, მთავარ ხაზინადარს და ახალ წევრებს.

§ 8

გენერალური ასამბლეა განიხილავს მხოლოდ დღის წესრიგში შეტანილ საკითხებს. საკითხების ნუსხა გენერალურ მდივანს უნდა გადაეცეს განსახილველად არა უგვიანეს 10 დღისა სესიის გახსნამდე. სესიის გახსნის თარიღი სეოკ-ის წევრებს უნდა ეცნობოთ არა უგვიანეს 20 დღისა სესიის გახსნამდე.

გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუკი მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. საკითხი გადაწყვეტილად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობა.

§ 9

მე-3 პარაგრაფის ა, ბ, გ პუნქტებში ჩამოთვლილ სეოკ-ის ყველა წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ოლიმპიური მოძრაობის ნებისმიერი საკითხის განხილვისას.

ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს სეოკ-ში როგორც წესი, აქვთ ხმათა ნახევარზე მეტი.

სესიებს შორის პერიოდში მართვის ფუნქციებს ახორციელებს გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული სეოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიან:

ა. პრეზიდენტი.

ბ. ვიცე-პრეზიდენტები.

გ. სეოკ-ის წევრი საქართველოდან (თუკი ასეთი იქნება).

დ. გენერალური მდივანი.

ე. მთავარი ხაზინადარი.

ვ. აღმასკომის წევრები.

აღმასკომი იკრიბება სულ მცირე თვეში ერთხელ. აღმასკომის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. საკითხი გადაწყვეტილად ითვლება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

აღმასკომში გადასაწყვეტი საკითხები მოიცავს სეოკ-ის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხს.

§ 10

აღმასკომის სხდომის მოწვევის შესახებ პრეზიდენტი წევრებს აცნობს სხდომის გახსნამდე არა უგვიანეს 10 დღით ადრე, მოსაწვევი ბარათით, რომელსაც ერთვის დღის წესრიგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასკომის თავმჯდომარეა სეოკ-ის პრეზიდენტი. იგი წარმოადგენს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ყველა სახის სამართალურთიერთობაში.

§ 12

სეოკ-ის ბიუჯეტს შეადგენს:

ა. სახელმწიფო დოტაცია, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირთა შემოწირულობანი.

ბ. ჩუქებით ან ანდერძით მიღებული ქონება.

გ. შემოსავალი ისეთი კომერციული საქმიანობისაგან, რომელიც არ ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიასა და სეოკ-ის წესდებას, მოქმედ კანონმდებლობას.

დ. სპორტული ღონისძიებების ჩატარებით მიღებული შემოსავალი.

§ 13

წინამდებარე წესდებაში ცვლილებები ან დამატებები შეიძლება შეიტანოს გენერალურმა ასამბლეამ. გენერალური ასამბლეა წყვეტს სეოკ-ის ლიკვიდაციის საკითხსაც.

§ 14

სეოკ-ის ორგანოების მუშაობა რეგლამენტირებულია გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ წესებში.

§ 15

წინამდებარე წესდების გაუგებრობის ან ოლიმპიურ ქარტიასთან მისი შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს ქარტიის უზენაესობის პრინციპი.

127 ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის წინადადება და ქუთაისის ა .წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის, პარტიული კომიტეტის, გაერთიანებული პროფკომის, ალკკ კომიტეტის თხოვნა და აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ამიერიდან ეწოდოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯიოევანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 21 დეკემბერი, № 608

128 საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაციის წესდების რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაციის წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჯიოევანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 21 დეკემბერი, № 616

ელექტრონული ბიბლიოთეკა

რეგისტრირებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1989 წლის 21 დეკემბრის № 616
დადგენილებით

საქართველოს კარატეს ასოციაციის

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს შოტოკან-კარატეს ასოციაცია (შემდგომ „ასოციაცია") წარმოადგენს საზოგადოებრივ, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციას, რომელშიც ნებაყოფლობით საფუძველზე გაერთიანებული არიან კარატეს სხვადასხვა სახეობაში მოვარჯიშე კოლექტიური (სპორტული ჯგუფები, კლუბები, სპორტული ორგანიზაციები და ა. შ.) და ინდივიდუალური წევრები.

2. ასოციაცია შექმნილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 49-ე მუხლის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად.

3. თავის საქმიანობისას ასოციაცია ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდებით.

4. ასოციაციას აქვს იურიდიული პირის სტატუსი, რომელსაც იგი იძენს დადგენილი წესით მისი რეგისტრაციის დღიდან.

5. ასოციაციას აქვს ანგარიში საბანკო დაწესებულებებში, მრგვალი ბეჭედი ასოციაციის დასახელებით, თავისი ემბლემა და სხვა რეკვიზიტები.

6. ასოციაციის გამგეობის საბჭოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

II. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

1. ასოციაცია ატარებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას შემდეგი მიზნებით:

— ფართოდ გაავრცელოს კარატე, როგორც სპორტის სახეობა, რესპუბლიკაში;

— დაეხმაროს ქართველ სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს საერთაშორისო კვალიფიკაციის მიღწევაში;

— ხელი შეუწყოს საქართველოს ახალგაზრდობის ზნეობრივ, კულტურულ და ფიზიკურ სრულყოფას, მისი თავისუფალი დროის შინაარსიანად ორგანიზებას.

2. ასოციაცია წარმოადგენს მისი წევრების ინტერესებს სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის საზღვარგარეთის ორგანიზაციებში.

III. ასოციაციის საქმიანობის მიმართულებები და ფორმები

1. ასოციაცია თავისი მიზნების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორგანიზაციას უწევს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებს, ტურნირებსა და შეხვედრებს;

— ატარებს მეთოდურ, სამსაჯო, სპორტულ და სამეცნიერო სემინარებს, მათ შორის საზღვარგარეთის გამოჩენილი სპეციალისტების მოწვევით; ამზადებს შესაბამის სპეციალიტებს და სპორტსმენებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს მათ ატესტაციას;

— აწყობს ფესტივალებს, კონცერტებს, საჩვენებელ გამოსვლებს და გამოფენებს, რომლებიც პასუხობენ კარატეს პოპულარიზაციის მიზანს;

— ხელს უწყობს ტრადიციული აღმოსავლური გამაჯანსაღებელი სისტემების სამედიცინო ასპექტების შესწავლას;

— ამყარებს და ავითარებს კავშირს უწყებებთან, დაწესებულებებთან, სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც პასუხობენ ასოციაციის მიზნებს;

— ამყარებს და ავითარებს საქმიან კონტაქტებს საკავშირო, საზღვარგარეთის და საერთაშორისო ასოციაციებთან, ფედერაციებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც დაკავებული არიან აღმოსავლური და სხვა სახეობის ორთაბრძოლების ან გამაჯანსაღებელი სისტემების შესწავლით და პრაქტიკული ათვისებით;

— ეწევა საკონსულტაციო და საგამომცემლო საქმიანობას;

— ქმნის საწარმოებს, კოოპერატივებს, ფასიან სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს;

— საბჭოთა, აგრეთვე საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან და ფირმებთან ერთად ქმნის ერთობლივ საწარმოებს;

—ეწევა თავისი საქმიანობის მიმართულებებისა და შედეგების პროპაგანდას და რეკლამას როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

— ხელს უწყობს და აფინანსებს სამეცნიერო და კვლევით სამუშაოებს;

— უწევს ფასიან და უფასო დახმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კლუბებს, მოყვარულთა გაერთიანებებს, კოოპერატივებს და ცალკეულ პირებს დამტკიცებული მიზნების და ამოცანების ფარგლებში;

— საჭიროების შემთხვევაში შეისყიდის ან იჯარით იღებს შენობებს, ნაგებობებს, აღჭურვილობას, ინვენტარს და სატრანსპორტო საშუალებებს;

— ეწევა კანონით დაშვებულ სხვა საქმიანობას, რომელიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად.

2. ასოციაცია პასუხს აგებს თავისი საქმიანობისათვის.

IV. ასოციაციის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

1. ასოციაცია შედგება კოლექტიური, ინდივიდუალური და საპატიო წევრებისაგან.

2. ასოციაციის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის გამგეობა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ასოციაციის გამგეობაში შედიან:

— ასოციაციის კოლექტიური წევრების ხელმძღვანელები;

—გამგეობის საბჭოს წევრები;

— გამგეობაში არჩეული იხდივიდუალური წევრები;

— ასოციაციის საპატიო წევრები.

4. ასოციაციის გამგეობა:

— იღებს გადაწყვეტილებებს არსებულ წესდებაში ცვლილებების და დამატებების შესახებ;

— ირჩევს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს ორი წლის ვადით, განმეორებით არჩევისა და ვადაზე ადრე განთავისუფლების უფლებით;

— განიხილავს ხებისმიერ სხვა საკითხს, რომელიც ეხება ასოციაციას ან მის ცალკეულ წევრებს.

5. ასოციაციის გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც, ხოლო მისი გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება გამგეობის წევრთა 2/3 მხარდაჭერით.

6. ასოციაციის გამგეობის სხდომებს შორის შუალედში ასოციაციის მართვის ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის გამგეობის საბჭო, რომლის რაოდენობრივ შემადგენლობას და სტრუქტურას განსაზღვრავს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე გამგეობასთან შეთანხმებით.

7. ასოციაციის გამგეობის საბჭოს მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე.

8. ასოციაციის გამგეობის საბჭო:

— მოქმედებს კოლეგიალურად და მოიწვევა თვეში ერთხელ;

— იწვევს ასოციაციის გამგეობის (მათ შორის, რიგგარეშე) სხდომას;

— გამოაქვს ასოციაციის გამგეობის სხდომაზე განსახილველად წინადადებები წესდებაში დამატებების და ცვლილებების შეტანის შესახებ, ასოციაციის სახელწოდების და ემბლემის შეცვლის შესახებ;

— გამგეობის წევრებთან შეთანხმებით, ასოციაციაში შეჰყავს ახალი ინდივიდუალური და კოლექტიური წევრები მათი განცხადების საფუძველზე; ირჩევს ასოციაციის საპატიო წევრს;

— ახორციელებს ასოციაციის მიზნებისა და ამოცანებისათვის აუცილებელ, კანონით დაშვებულ სხვა საქმიანობას.

9. ასოციაციის გამგეობის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ასოციაციის ყველა წევრისათვის სავალდებულოა.

10. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს რა ასოციაციის ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ფინანსურ საქმიანობას, სარგებლობს შემდეგი უფლებებით:

— მოქმედებს ასოციაციის სახელით, წარმოადგენს ასოციაციის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, უწყებებში, საზღვარგარეთის ორგანიზაციებში, ფირმებში;

— დებს ხელშეკრულებებს, ხელს აწერს გამგეობის საბჭოს მიერ მიღებულ მინდობილობებს, ხსნის საბანკო ორგანიზაციებში ასოციაციის ანგარიშს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს ასოციაციის გამგეობის საბჭოს ტექნიკურ მუშაკებს, იყენებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს.

11. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფები იქმნება ასოციაციის გამგეობის საბჭოს გადაწყვეტილებით და ისინი მოქმედებენ ამ წესდების, გამგეობის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებებისა და მოქმედი კანონების თანახმად.

12. ასოციაციის საფინანსო საქმიანობის რევიზიას ახორციელებს გამგეობის მიერ შექმნილი სარევიზიო ჯგუფი, რომელიც ფორმირდება ასოციაციის წევრებისაგან. სარევიზიო ჯგუფი ამოწმებს გამგეობისა და გამგეობის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და ანგარიშს აბარებს ასოციაციის გამგეობას. სარევიზიო ჯგუფის წევრი არ შეიძლება შედიოდეს ხელმძღვანელ ორგანოებში.

13. ასოციაციის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

V. ასოციაციის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

1. ასოციაციის კოლექტიური წევრი შეიძლება იყოს დაინტერესებული აღმოსავლური ორთაბრძოლების რომელიმე სახეობაში მოვარჯიშე სპორტული ჯგუფი, კლუბი, ორგანიზაცია, ხოლო ინდივიდუალურ წევრად — დამოუკიდებლად მოვარჯიშე სპორტსმენი ან სხვა დაინტერესებული პირი.

2. ასოციაციაში გაწევრიანებისათვის განცხადებით მიმართავენ ასოციაციის გამგეობის საბჭოს.

3. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

— მონაწილეობა მიიღოს ყველა ღონისძიებაში, რომელსაც ასოციაცია ჩაატარებს;

— დახმარება მიიღოს ასოციაციისაგან მისი კომპეტენციის ფარგლებში;

— მიიღოს სრული ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ;

— აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;

— ატაროს ასოციაციის ნიშანი და ემბლემა.

4. ასოციაციის გამგეობის წევრს აქვს სპორტულ კარატეში ვარჯიშების ორგანიზაციის უფლება.

5. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

— დაიცვას ასოციაციის წესდება;

— დროულად გადაიხადოს საწევრო გადასახადი.

VI. ასოციაციის ფონდები და სახსრები

1. ასოციაციის ფონდები ფორმირდება მანეთებში და ვალუტაზე შემდეგი სახსრებისაგან:

— ასოციაციასთან და მის სტრუქტურულ ქვეგანაყოფებთან ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე კოლექტივების გადმონარიცხებიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასოციაციაში შემავალი კოლექტიური და ინდივიდუალური წევრების გასაწევრიანებელი და საწევრო გადასახადისაგან;

— სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეულ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი და სხვა შენატანებისაგან;

— კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან;

— დადგენილი წესით ასოციაციის გამომცემლობითი საქმიანობის შემოსავლისაგან;

— საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლისაგან;

—ასოციაციის და მისი სტრუქტურული ქვეგანაყოფების სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის და, საჭიროების შემთხვევაში, საბანკო კრედიტის ხარჯზე.

2. ასოციაციის სახსრები გამოიყენება:

— რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ჩემპიონატების, ტურნირების, ამხანაგური შეხვედრების, კომერციული ღონისძიებების ორგანიზებისათვის როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ;

— მიმდინარე საქმიანობისათვის;

— სარეზერვო და განვითარების ფონდების ფორმირებისათვის;

— ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სამივლინებო და სხვა ხარჯების გადასახდელად;

— ასოციაციის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული სამეცნიერო და კვლევითი სამუშაოების დასაფინანსებლად;

— ასოციაციის საგამომცემლო და სარეკლამო მოღვაწეობისათვის;

— საორგანიზაციო-სამეურნეო მოთხოვნილებებზე ხარჯების დასაფინანსებლად, მათ შორის სათავსოების, მოწყობილობების, ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებების, სხვა მასალებისა და საქონლის შესაძენად, აგრეთვე იჯარისათვის;

— საქველმოქმედო საქმიანობისათვის;

— ასოციაციის წევრთა წახალისებისა და მატერიალური დახმარებისათვის;

VII. ასოციაციის ლიკვიდაცია

ასოციაციის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს გამგეობის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

129 კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტის“ აღნიშნული კინოსტუდიის სადებიუტო, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ექსპერიმენტულ სტუდია-ფილიალად გარდაქმნის შესახებ

ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების, მისი სადებიუტო და ექსპერიმენტული ბაზის გაძლიერების უზრუნველსაყოფად მსოფლიოს მაღალინტელექტუალურ, მაღალპროფესიულ მხატვრულ და დოკუმენტურ კინოხელოვნებაში მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წინადადება 1990 წლის 1 იანვრიდან მისი ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტის“ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადებიუტო, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ექსპერიმენტულ სტუდია-ფილიალად გარდაქმნის შესახებ.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1990 წელს გამოყონ აღნიშნული მიზნებისათვის შესაბამისი ასიგნებანი და ხელფასის ფონდი წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადებიუტო, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ექსპერიმენტული სტუდია-ფილიალი თავის შემოქმედებით და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას წარმართავს იურიდიული პირის უფლებებით, დამოუკიდებელი ბალანსით და საკუთარი ანგარიშით.

4. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადებიუტო, მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ექსპერიმენტულმა სტუდია-ფილიალმა შეიმუშაოს, ხოლო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცოს აღნიშნული სტუდია-ფილიალის დებულება.

5. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 ივლისის № 518 დადგენილების მე-4 პუნქტის მეორე აბზაცი და მე-8 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 25 დეკემბერი, № 622

130 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 18 სექტემბრის № 478 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„რესპუბლიკაში არსებული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 18 სექტემბრის № 478 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოთ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს რესპუბლიკის შიგნით დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა ურთიერთჩათვლა 1989 წლის 1 ოქტომბრის ნაცვლად განახორციელონ 1990 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 29 დეკემბერი, № 647

131 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 30 ნოემბრის № 974 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 11 ნოემბრის № 961 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილება „განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა დისციპლინის წესდების მოქმედების გავრცელების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ქვილითაია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. მახარაძე**

ქ. თბილისი, 1989 წ. 29 დეკემბერი, № 650

ინდექსი — 76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6. 1990 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/IV-90 წ. ქაღალდის ზომა 70× 108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი 7, სააღრიცხვო თაბახი 7.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 271 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა